შაბათი, 1917 წ. ღვინობისთვის 3 (16) № 216

შაბათი, 1917 წ. ღვინობისთვის 3 (16) № 216

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 15 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## გაზეთის შინაარსი

**ცნობებიდან**

გერმანეთის დრედნოუტების დესანტი კუნძულ ეზელზე.—გერმანეთისა და შვეციის სასურსათო ხელშეკრულება.—გერმანეთის ფლოტის არეულობა და საზღვაო მინისტრის დათხოვნა.—უკრაინის ახალი დეკლარაცია.—ფინლიანდიის ახალი სეიმის შეკრება.—დემოკრატიული საბჭოს შემადგენლობა.—რკინის გზათა მოსამსახურეებისათვის ჯამაგირის მიმატება.—მინისტრ ნიკიტინის დათხოვნა.—ოთხი მილიარდის ახალი ფულის გამოშვება.

**წერილებიდან**

მეთაური. აგრარული უწესოებანი საქართველოში.
ვ. ვ. გერმანეთის ოპერაციები ბალტიის ზღვაში.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება: ქართულ უნივერსიტეტისათვის.
გ. ლეონიძე. ჩაბნელებული არმაზი.
ქ. მარტყოფელი. არტაანის მხარეში.
კორესპონდენცია. კახეთიდან.

მცხეთობა და კათალიკოზის კურთხევა.
სომეხთა კათალიკოზის დეპეშა კირიონ მე-2-ს.

ბალტიის ზღვის პირის რუკა.

თბილისის სასულიერო სემინარიის

**სამმართველო**

ამით აცხადებს: მეცადინეობა სემინარიაში გადადებულ იქმნა; როდის დაიწყობა სწავლა, ამას სამმართველო ცალკე გამოაცხადებს.

განმეორებითი გამოცდები იქმნება სწავლის დაწყების წინ, ხოლო მსურველთათვის ოქტომბრის 2-დან 15-მდე ამ წლისა.

მისაღები გამოცდები იქმნება სწავლის დაწყების წინ, როდესაც გამოირკვევა ვაკანსიების რაოდენობა თვითეულ კლასში.

სემინარიის სამმართველოს კანცელარია იღებს თხოვნებს სემინარიის ყველა კლასში მისაღებ გამოცდების შესახებ როგორც ქართველთაგან, ისე რუსთაგან, ბერძენთაგან და სხ.

ის მოწაფეები, რომლებმაც დაამთავრეს სწავლა თბილისის, თელავის და გორის სასულიერო სასწავლებლებში და რომელნიც ცნობილ იქმნენ ხსენებულ სასწავლებელთა სამმართველოებისაგან ღირსად სემინარიაში გადმოსვლისა, უკვე ჩარიცხულ არიან სემინარიის პირველი კლასის მოწაფეებად.

(2—785—2)

**მალე გამოვა**

რადიკალ-დემოკრატიული მიმართულების კვირეული ქართული გაზეთი

**ჩვენი რესპუბლიკა**

3—808—1

ქართველ მწერალთა

**ყრილობა**

მოხდება 7 ოქტომბერს, ქართულ კლუბის დარბაზში, 10 საათ.

ყრილობის პროგრამა შემდეგია:

1. მისალმებანი.
2. მოხსენებანი.
3. სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების ანგარიში.
4. მწერალთა კავშირის დაარსება.
5. არჩევნები მუდმივ ორგანოთა წევრებისა.

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირასი საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—24

ექიმი

**გ. ი. [illegible]**

იღებს ბავშვთა და შინაგან [illegible] ავადმყოფებს [illegible] საღამოს 5—7 საათამდე [illegible] ქ. № [illegible]

(თ.—[illegible]—)

**ამიერ-კავკასიის ბანკში**

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

**იყიდება**

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4.

თ—766—9

ექიმის თანაშემწე

**ვანო საათაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს ხად. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

29—748—თ.

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—31)

სამკურნალო კაბინეტი

**პ. ს. ფონ-ირტელისა**

ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილით და $4^1/_2$—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

## თბილისი, ღვინობისთვის 3.

### აგრარული უწესოებანი საქართველოში

უკანასკნელ დროს რუსეთში დაწყებული სტიქიური აგრარული მოძრაობა საქართველოშიც გადმოვიდა; ეს თავისთავად ბუნებრივია, რადგან საქართველო მოქცეულია რუსეთის რევოლუციის რკალში და ყოველი რუსეთის შინაგანი მოვლენა საქართველოშიც ნახულობს გამოძახილს, ამას გარდა მიწის საკითხი ჩვენში ყოველთვის მწვავე იყო და 1905 წელში სწორედ საქართველომ მისცა ნიშანი რუსეთის აგრარულ მოძრაობას.

ყოველდღე მოდის ცნობები, რომ ხან იქ ხან აქ სოფლელები იჩენენ თვითნებობას, ისაკუთრებენ მიწებს, სჩეხავენ ტყეებს, არ იხდიან ადგილობრივად დაწესებულ გადასახადს, და ხშირად ძალადობენ არა მარტო კერძო მესაკუთრეთა მამულებზე, არამედ იმაზედაც, რაც საზოგადოებრივ საკუთრებას შეადგენს. ადგილობრივი რევოლუციური კომისრები და საადგილმამულო კომიტეტები ვერ იჩენენ სათანადო ძალას, რომ გავლენა მოახდინონ ხალხზე და მოსპონ ამგვარი თვითნებობა და უწესოება.

ხალხი არ უჯერის კომისრებს, ყოფილა შემთხვევა, რომ ძალადობა უხმარია თვითონ კომისარზე თუმცა იმისთანა შემთხვევაც ხშირია, როცა თვითონ კომისარი მეთაურობს და ქეზეს უკანონო მოქმედების ჩასადენად.

ყველაფერი ეს ხალხის თვალში ძალას და გავლენას უკარგავს ახალ მთავრობას და საშიშარ მდგომარეობაში აგდებს ქვეყანას.

ერთხელ აზვირთებულ აგრარულ მოძრაობას შეუძლია მიილოს ისეთი საბედისწერო სახე, რომ ქვეყანას დაუუფლოს ანარქია, ქართული სოფელი, რომელიც ამ ომის გამოც თითქმის სულ გაჩანაგდა, ვეღარ აიტანს კიდევ მეტს უბედურებას და სამეურნეო კულტურა დიდ განსაცდელში ჩავარდება.

რუსეთის გაზეთები დიდს ყურადღებას აქცევენ უწესოებას.

„რუსკოე სლოვოში“ ზ. ვესელოვსკი მოითხოვს, რომ დროებითმა მთავრობამ მიიღოს ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც შემჩნეულნი და გარეულნი იქნებიან უწესოებაში, ისინი უსათუოდ უნდა დაისაჯონ: წაერთვათ უფლება დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის, ჯარის კაცის ულუფის მიღების და დამატებითი მამულის მიღებისა.

ქართული საზოგადოებაც უნდა დაფიქრდეს მოსალოდნელმა უბედურებამ, უნდა ყოველი ღონე იქნას მიღებული, რომ სოფლის ხალხში იქნეს შეტანილი და გამტკიცებული ის აზრი, რომ სანამ ქართულ დამფუძნებელ კრებას არ გადაუწყვეტია მიწის საკითხი, მანამდის ყოველი თვითნებობის გამოჩენა და სხვის მამულების დატაცება უკანონობაა, რომ ამნაირ მოქმედებას შეუძლია კიდევ გაგვამეორებინოს 1905 წლის ისტორია როცა სოფლის და ქალაქის ანარქიამ სამარე გაუთხარა რევოლუციას.

საჭიროა ქართულმა ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ გამოყოს თავის შემადგენლობიდან მიწის სექცია, რომელიც სათანადო მოწოდებით მიმართავს სოფლის ხალხს და იმავე დროს დაამზადებს სააგრარო რეფორმის კანონ-პროექტს ქართული დამფუძნებელ კრებისათვის.

### გერმანეთის ოპერაციები ბალტიის ზღვაზე

როცა გერმანეთის ფლოტის არეულობის შესახებ ცნობა მოვიდა, ზოგიერთს ეგონა, ახლა ეშველა პეტროგრადსო, მაგრამ იმპერატორი ვილჰელმის ბრძანებით სამი მეზღვაურის სიკვდილით დასჯას მალე განუკურნავს ურჩნი და აი გერმანეთის დრედნოუტებს უკვე რუსეთის ბალტიის ზღვის პირისკენ გაუკვლევიათ და დესანტი გადმოუსხამთ კუნძულ ეზელსა და დაგოზე, რიგის ყურის დასავლეთ ჩრდილოეთით რომ მდებარეობენ, სადაც აქამდის რუსეთის ბალტიის წყალქვეშა და ნაღმოსან ფლოტის სადგომი ბაზა იყო...

ოთხჯერ უფრო სუსტ რუსეთის ფლოტს ვერ გაუბედნია პირდაპირ შებრძოლება გერმანელებთან და ამგვარად კუნძულების ბედი უკვე გარდაწყვეტილია, რადგან იქაურ ადგილობრივი სამხედრო ძალები მეტად უმწეონი არიან რვა დრედნოუტის ზარბაზნების და დესანტის წინააღმდეგ ბრძოლისათვის... ქ. ეზელზე მყოფი ცერელის ციხე უკვე ალყა-შემორტყმულია და დღეს ან ხვალ დაეცემა.

რა არის მიზანი ეზელისა და დაგოს დაპყრობისა?..

ფსიხოლოგიურ მისანში—რუსეთის ხალხის ახალ დაშინებას რომ თავი დავანებოთ, ამ კუნძულების დაპყრობით გერმანელების ხელში თავისთავად გადადის მთელი რიგის ყურე და იქ მყოფ რუსეთის გემებს ცუდი დღე დაადგებათ, თუ დროზე ვერ მოასწრეს გაშლილ ზღვაში გასვლა და ფინის ყურის ერთ-ერთ საზღვაო ციხეში თავის შეფარება.

რიგის ყურის ხელში ჩაგდება კი თავის-თავად აიძულებს რუსეთის ხმელეთის ჯარს ქ. ვოლმარ-ვალკისკენ დაიხიოს ზღვის პირიდან და უფრო აღმოსავლეთი საბრძოლველი ხაზი ამოირჩიოს ვიდრე ეხლა...

მაგრამ, შეიძლება კუნძულების დაპყრობას აქტიური ნაბიჯებიც მოჰყვეს გერმანეთის მხრივ—სახელდობრ პეტროგრადისკენ გალაშქრება.

ამისათვის საჭიროა ახალი დესანტის გადმოსხმა ბალტიის ზღვისპირის ერთ-ერთ ნავთსადგურში (გაინაში, პერნოვი, გაპრალი, ბალტის პორტი, რეველი) ან და თვით ფინლიანდიის ერთ-ერთ ნავთსადგურში (განგე, სვეაბორგი, ჰელსინგფორსი, ვიბორგი). გერმანელთა ფლოტის დესანტის ხელის შეშლა მხოლოდ მოწინააღმდეგის ფლოტსავე შეეძლო, მაგრამ რუსის ბალტიის ფლოტი ოთხჯერ უფრო სუსტი ყოფილა, ვიდრე გერმანეთისა და ამას გარდა ბოლშევიკურ ქადაგებაც სათანადო გავლენა მოუხდენია...

ყოველს შემთხვევაში, რუსის ფლოტს რომ რამე შესძლებოდა, არც ეზელის დესანტს დაუშვებდა და რაკი იქ დამარცხდა, ცხადია, რომ ახლა მთელს ბალტიის ზღვაზე გერმანეთის ფლოტი ბატონობს... აწი გერმანეთის ფლოტისათვის სულ ერთია, სადაც უნდა მოინდომოს დესანტის გადმოსხმა, თუნდა თვით კრონშტადთან—რუსის ფლოტი იქაც ისე უმწეო იქნება, როგორც აღმოჩნდა ეზელთან... გერმანელთა დესანტს მხოლოდ ხმელეთზე მყოფ რუსის ჯართან მოუხდება ბრძოლა... მაგრამ ეს ჯარიც ხომ ის ჯარია, რიგასთან რომ იბრძოდა...

ვ. ვ.

## ომი და ზავი

### დეპეშები

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

**რუსეთის შტაბის ცნობა.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 29. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით, ენკენისთვის 27 მტერმა ძლიერი საარტილერიო სამზადისის შემდეგ სპიტალი ტიმერმანის რაიონში შემოტევა დაიწყო. 21 საათზე ჩვენებმა კონტრ-იერიშით თხრილები დაიბრუნეს ენკენისთვის 28-ში, შუადღისას მტერმა სკოულის რაიონის მოდარაჯე ნაწილებს უკან დააახევინა. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

**დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტები.** სროლაა.

**რუმინეთის ფრონტი.** ენკენისთვის 26 საღამოს 5 საათზე, კრენდშენის სამხრეთით მტერმა ჩვენი თხრილების ერთი ნაწილი დაიპყრო, მაგრამ კონტრ-იერიშით უკან დავიბრუნეთ. გუშინ ქალაქ გალაცს მტერმა რამდენჯერმე აუტეხა სროლა მძიმე ზარბაზნებით.

**კავკასიის ფრონტი.** კომახის მიმართულებით 300-მდე ოსმალომ ჩვენ მოდარაჯეებს შემოუტია და უკან დაახევინა, მაგრამ ჩვენებს მიშველებლნი მოეხმარნენ და გაფანტეს. რევანდუზის მიმართულებით ჩვენებმა ურმიის სამხრეთით 75 ვერსზე მდებარე მთა სიახ-კუხი დაიპყრეს.

**მფრინავთა მოქმედება.** ენკენისთვის 26. დაბა ზბრიჟის რაიონში პრაპორშჩიკ იანჩენკომ მტრის მფრინავი ჩამოაგდო.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 30. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** სროლა და მზვერავთა მოქმედება.

**დასავლეთის და სამხრეთ დასავლეთის ფრონტები.** სროლაა. თხრილების დათვალიერების დროს დაიჭრა კორპუსის დროებითი უფროსი, გენერალი ფასტიკოვსკი.

**რუმინეთის ფრონტი.** სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** ერზინჯანისა და კალკიტას რაიონში ოსმალები შეეცადნენ ჩვენს ასპარეზებზე მიახლოვებას, მაგრამ დროზე შევნიშნეთ და გავფანტეთ.

**ბალტიის ზღვა.** რიგის ყურის რაიონში მტრის მფრინავების თარეში გრძელდება. ენკენისთვის 27-ს მტრის 9 აეროპლანმა ცერელის რაიონში ჩვენს გემებს აუტეხეს სროლა. ენკენისთვის 29-ს კუნძულ ეზელის სამხრეთ ნაპირზე მტერმა დესანტი გადმოსხა. დესანტი გადმოსხა აგრეთვე კუნძულ დაგოზე, სოფ. სეროოსთან კუნძულის სამხრეთ ნაპირზე. კუნძულ ეზელის მცხოვრებნი გადმოსხმულ დესანტს ებრძვიან.

**შავი ზღვა.** ენკ. 29. 14 საათზე მტრის წყალქვეშამ ქალაქ ტუაპსეს ოცჯერ ესროლა. როცა ჩვენმა ბატარეებმა სროლა აუტეხეს, წყალქვეშა მიიმალა.

**პეტროგრადი.** ენკ. 30 ოფიციალი. ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები. თოფისა და ზარბაზნის სროლაა, უფრო ცხოველი დვინისა, მოლოდეჩნოსა და ფოკშანის მიმართულებით.

**ბალტიის ზღვა.** კუნძულ დაგოს სამხრეთის ნაწილში სოფ. სეროოს გერმანელთა გემები ყუმბარებს უშვებდნენ. ჩვენმა 2 ნაღმოსანმა სროლა აუტეხა მათ. 17 საათზე კუნძ. დაგოსა და ეზელს შუა შემოიჭრენ (?) მტრის ნაღმოსნები, მაგრამ ჩვენმა სრულიად მცირე საზღვაო ძალებმა უკანვე განდევნეს. მტერი ისევ ტაგალახტე-მეერიის ბუხტაშია. მტრის დესანტის მოწინავე ნაწილებმა მერისის სამხრეთით 8 ვერსტის მანძილზე მდებარე ა ბილი დაიპყრეს. ვეხმა-პაალ-მედდენეცის მიზა-პადუელის ხაზზე ბრძოლის შემდეგ ჩვენმა მოწინავე ჯარმა კუნძულის შუაგულისკენ დაიხია უკან სამხრეთისა და აღმოსავლეთისა მიმართულებით.

**მფრინავთა მოქმედება.** ენკ. 28 მთელი დღე ჩვენი მფრინავები მთელ ფრონტზე ზვერვას აწარმოებდნენ და ფოტოგრაფიებს იღებდნენ. გუსიატინის მიდამოებში მტრის 30 მფრინავი დაზვერვას ახდენდა. კოველ-სარნის რკინის გზის მიდამოებში ზარბაზნის სროლაა. მტრის საფრენი ჩამოვაგდეთ. მფრინავი ჯარისკაცი დაიმტვრა. ოფიცერი დავატყვევეთ. გუსიატინის სამხრეთით, მარიანოვკის მიდამოებში მტრის საფრენს ცეცხლი მოეკიდა და

# ბალტიის ზღვისპირის რუქა




ჩამოვარდა. მფრინავები დაიღუპნენ.

**პეტროგრადი.** დეკემბ. 1. ოფიციალი. ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტებზე სროლა და მზვერავ რაზმების მოქმედებაა.

**კავკასიის ფრონტი.** ენკენისთვის 28. კემახის მიმართულებით ერზინჯანის სამხრეთ-დასავლეთით 25 ვერსტის მანძილზე ოსმალთა ერთმა ბატალიონმა შემოტევა დაიწყო და მიუხედავად ჩვენი მოდარაჯეების სროლისა ჩვენს სანგრებს მოადგნენ, მაგრამ სროლითა და ხელის ყუმბარებით უკუ ვაქციეთ და გავფანტეთ. ზერბარის ტბის სამხრეთ-დასავლეთით მერივანის ღელეში ჩვენს მოწინავე რაზმებს შეტაკება უხდებათ მტრის მზვერავ რაზმებთან.

**შავი ზღვა.** ანატოლიის ნაპირებთან ჩვენმა ნაღმოსნებმა 11 დატვირთული შხუნა გაანადგურეს და 20 კაცი ტყვედ წამოიყვანეს.

## დასავლეთის ფრონტი.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** ენკენ. 26. ბელგიაში ჩვენი ჯარი მდინარე პრიოსტბეკეს გადავიდა და 2 ნახ. კილომეტრი ფრონტი დაიჭირა. ჩვენ ხელშია სოფელი სენჟანი, მანგელირე, ველდეკი და რამდენიმე გამაგრებული ფერმა. ჩვენებმა გეტულისტის ტყემდე მიაღწიეს. მდ. ენის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა დარუდიგრის ფერმასთან მწვავდება.

**პარიზი.** ენკენ. 27. ოფიციალი. ოფიციალი. ბელგიაში ჩვენ ფერმა პაპეგეტი დავიჭირეთ. მდ. ენის ჩრდილოეთით გერმანელთა არტილერია ლაფოს რაიონში მოქმედობდა. კალომბის მთის ჩრდილო დასავლეთით ჩვენ მარჯვე იერიში მივიტანეთ მაასის მარჯვენა ნაპირზე დემონის ტყის რაიონში ორივე მხრის არტილერია მოქმედობს.

**პარიზი.** ენკენისთვის 29. სერნის დასავლეთით ჩვენი მტრის მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ და მუაზის ფერმის ჩრდილო-აღმოსავლეთით ტყვეები ვიგდეთ ხელში. მეზონ-დეშამპანში და სუეობეროვში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მაასის მხარეზე ბეზანკოს რაიონში.

**ინგლისის ბანაკის ცნობა**

**ლონდონი.** ენკენისთვის 29. დღეს დილით ჩვენებმა, იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 9 კილომეტრზე, შეტევა დაიწყეს. ჯერ ჯერობით შეტევა მარჯვედ მიდის. წუხელ კოკისპირულად წვიმდა.

**ლონდონი.** ენკენის. 29. საღამოს ოფიციალი. ჩვენ მარჯვედ დავუშინეთ მტრის ბატარეებს და პოზიციებს. მკაცრი სროლა ავუტეხეთ მტრის საკომუნიკაციო ხასებს. გერმანელთა არტილერია სუსტად მოქმედებდა. წამოვიყვანეთ ტყვედ 70 კაცი.

ჩვენი მფრინავები არტილერიას მიზანს უსწორებდნენ, იღებდნენ ფოტოგრაფიებს. აგრეთვე ყუმბარები ჩამოყარეს მტრის ბანაკებში, საავადმყოფოში და ერთ დიდ ზარბაზნის პოზიციაზე; ჩამოაგდეს 3 საფრენი, 2 აიამუის დაბლა დაშვებულიყო. ჩვენ 4 საფრენი გვაკლია.

**იტალიის ბანაკის ცნობა.**

**რომი.** ენკენ. 30. მთელ ფრონტზე ცუდი ამინდი დგას. ტრავინიკის ღელეში კოლბრიკონეს მიდამოებში მტრისანალმო ხვრელები ავაფეთქეთ. ლაგარინას ღელეში ცუნბის მიდამოებში და ტოლმინოს ჩრდილოეთით ზარბაზნების სროლა გაძლიერდა.

## ბალკანეთზე

**პარიზი.** ენკ. 20. გუშინ წინ მტრის არტილერიამ და მზვერავებმა მოქმედება გაძლიერეს.

## აღმოსავლეთ აფრიკაში

**ლონდონი.** ენკენ. 28. ნიასის ტბის ჩრდილოეთით იმყოფება გერმანელთა რაზმი, რომელიც 3 ევროპიელისგან და 53 ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგება. დასავლეთით ბელგიელებმა მახენგე დაიჭირეს. პორტუგალიელ ჯარს როკუმის სამხრეთი ნაპირი უჭირავთ.

## გერმანეთის სამხედრო მინისტრის დათხოვნა

**კოპენჰაგენი.** ენკენ. 30 „ფოსიშე-ცაიტუნგ"-ი იუწყება: სამხედრო მინისტრი ფონ კაპელდე თანამდებობიდან დგება. იგი ძლიერ შეურიგდა კანცლერის შეხედულობას დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიაზე სახელდობრ მან დანაშაულობაზე საზღვაო ამბოხებაში.

## ამბოხება გერმანეთის ფლოტში

**ლონდონი.** ენკენ. 28. რეიტერის სააგენტოს ცნობით ამბოხებამ, რომელსაც რაიხსტაგში კანცლერი გაკვრით შეეხო, ვილჰელმს ჰაფენში იფეთქა. მონაწილეობა მიუღია 4 ჯავშნოსანის მეზღვაურებს. ერთი მათგანის, „ვესტფალენ"-ის კაპიტანი ზღვაში გადაუგდიათ. მეზღვაურნი ხმელზე გადმოსულან. სხვა მეზღვაურებს უბრძანეს შებრძოლებოდნენ, მაგრამ მათ უარი სთქვეს. მაშინ ოლდენბურგის პოლკი შემოერტყა მეამბოხეთ, რომელნიც დანებდნენ. აგრეთვე აჯანყდნენ „ვიურტენბერგ"-ის მეზღვაურნი.

„ვიურტემბერგ"-ის მეზღვაურებმა მეზღვაურები დაატყვევეს და ნორვეგიისკენ წავიდნენ, რომ გემი დაეკავებიათ, მაგრამ გზაში შეხვდა ნაღმოსნების რაზმი, რომელთაც სიგნალზე არ არ უპასუხა, მაშინ რაზმის უფროსმა ვილჰელმს ჰაფენთან მოლაპარაკების შემდეგ ალყა შემოარტყა გ-მს. „ვიურტემბერგი" დანებდა. ამბოხების ჩაქრობის შემდეგ ვილჰელმს ჰაფენში კანცლერის თანხლებით მისულა ვილჰელმი, რომელსაც უბრძანებია დაეხვრიტათ ყოველი მეშვიდე. კანცლერი უარზე დამდგარა და უთქვამს, რაიხსტაგის წინაშე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებო. სამი კაცი მაინც დახვრიტეს, დანარჩენთ დიდი ხნის კატორღა მიუსაჯეს. ამბოხების ერთ მიზეზად ცუდი საჭმლის სიმცირე ყოფილა.

## წყალ ქვეშა ომი

**ლონდონი.** ენკენ. 28. ერთი კვირის განმავლობაში ინგლისის ნავთსადგურებიდან გავიდა 2632 გემი, შემოვიდა 2619: დაღუპულია 1600 ტონიანი და უფრო დიდი 19 გემი, 2 კი უფრო მცირე.

## გერმანეთისა და შვეციის ხელშეკრულობა

**სტოკჰოლმი.** ენკენ. 29. ოფიციალი ცნობა. გერმანეთისა და შვეციას მოლაპარაკება აქვთ იმის შესახებ, რომ შვეციამ გერმანეთს პური და კარტოფილი მიაწოდოს.

# გერმანეთის ფლოტის არეულობაზე

**სტოკჰოლმი.** ენკ. 29. გერმანეთის საზღვაო მინისტრმა ფონ-კაპელმა სიტყვა წარმოსთქვა ფლოტში პროპაგანდის შესახებ. ცენტრის წარმომადგენელი ტრიმბორნი მოითხოვს სამართალში მისცენ პროპაგანდაში მონაწილენი, უკეთუ შესაძლებელია მათ მოღალატეობა შევწამოთ. კონსერვატორ კორფს საჭიროდ მიაჩნია გამოძიების დანიშვნა, თორემ ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს რეიხსტაგში მოღალატეებიც სხედანო. სოც. დემოკრატი ებერტი იძახის, საზღვაო მინისტრმა ბრალდებისაგან თავი ვერ გაიმართლაო. ყოველ პარტიასა აქვს ნება თავისი აზრი გამოსთქვას. ნაციონალ ლიბერალი შტრეზემანი ამბობს, დამოუკიდებელ სოციალისტებს ისეთ ბრალსა სდებენ, რომ შესაძლებელი ხდება ისინი სამხედრო ამბოხების მონაწილეებათ ჩავთვალოთ. კანცლერი მიხაელისი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია დეპუტატს სდევნიდენ მხოლოდ ომის მიზნებზე საკუთარი შეხედულებისათვის. მაგრამ რეზოლიუციის შინაარსზე კამათის მაგიერად, ამბობს კანცლერი, უკეთესია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მთელი გერმანეთი ყველა უბედურებას აიტანს, ვიდრე ცენტრალ სახელმწიფოების სიცოცხლისა და წინსვლისათვის საჭირო გარანტიებს არ მიიპოვებს, ვიდრე მოკავშირენი ჩვენ მიწებსა გვთხოვენ და სცდილობენ კაიზერისა და ხალხს შორის შუღლი დასთესონ. ჩვენ ვიცდით, და შეგვიძლია კიდევ მოცდა, რადგან დრო ჩვენ სასარგებლოდ მუშაობს.

# გერმანელების შემოტევა ბალტიის ზღვით

## ეზელზე გადმოსვლა.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 30. საზღვაო მთავარი შტაბი იუწყება: კუნძულ ეზელზე მტერი პირველად ენკენისთვის 30-ს დილის 10 საათზე გადმოვიდა. მტერმა შესძლო ჩვენი ჯარის წინააღმდეგობა დაეძლივნა. კუნძულის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მტრის ხელშია. პრენსბურგის 12 ვერსის მანძილზე მოუახლოვდნენ. კუნძულ დაგოსთან მტერმა ერთგვარი დემონსტრაცია მოახდინა მხოლოდ, და დაგოზე ჯერ მტრის ჯარი (არ არის?).

## კერენსკის დეპეშა ბალტიის ფლოტისთვის.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 30. კერენსკიმ ენკენისთვის 29 ჩრდილოფრონტის მთავარსარდალს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „გადაეცით ბალტიის ფლოტს, რომ მისთვის მრისხანე საათმა ჩამორეკა. რუსეთი ელის თქვენგან შველას, და მე, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი მოვითხოვ ფლოტის თავგანწირვას. დადგა დრო, როდესაც ბალტიის ფლოტს შეძლება ეძლევა, რომ სამშობლოს, თავისუფლების და რევოლუციის სახელით განწიროს თავი. იგი დაამტკიცებს, რომ ამის ღირსია. კრონშტადტელებს გასაჭირისთვის ყველაფერი მზადა აქვთ. დაე გამოისყიდონ „პეტროპავლოვსკის" ღალატი და დაე ფლოტმა მოიგერიოს მტერი იმ ოფიცრებთან ერთად, რომელთა სამშობლოს სიყვარული ყველამ იცის".

## ბრძოლა კუნძულ ეზელზე

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 30. ზღვის მთავარი შტაბი იუწყება: ეზელზე გადმოსულმა მტერმა ენკენისთვის 29-ში კუნძულის ნაწილი დაიჭირა. ბრძოლა გრძელდება. მტერს ზურგს უმაგრებს ძლიერი საზღვაო ძალა. ეზელზე გადმოსვლის დროსვე მტრის ხომალდები კუნძულ დაგოს საზღვისპირო ბატარეებს შეებნენ. ბატარეიას, მიღებულ ცნობით, მტრის ოთხი ნაღმოსანი ჩაუძირავს. მტრის ერთი ჯავშნოსანი ლამში ჩაეფლო. მტრის გემებზე მყოფმა არტილერიამ შემუსრა ჩვენი ბატარეა და კუნძულ დაგოზე მცირე დესანტი გადმოსხა. დესანტმა ფეხი ვერ მოიმაგრა და ისევ გემებს დაუბრუნდა. მტრის ზოგიერთა ნაღმოსნები გაიჭრნენ ეზელსა და დაგოს შუა მოონზუნდის მიმართულებით გასწიეს, მაგრამ მათ ჩვენი ნაღმოსნები შეხვდნენ და უკან გამოაბრუნეს. ენკენისთვის 30-შიაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩვენმა გემებმა მტრის იმ გემებს, რომელთაც ეზელსა და დაგოს შუა ჰსურდათ გასვლა. ამასთან ერთად მტრის ნაღმის ამომკრეფნი ირბენის სრუტეში მოქმედობენ. ეზელის რაიონში მტრის მფრინავებიც მოქმედობენ. ჩვენმა მფრინავმა გალაქტიონოვმა მტრის მფრინავი ჩამოაგდო. მფრინავი ხმელეთზე დაეცა.

# ზავის გარშემო

## კამათი გერმანეთის რაიხსტაგში

**სტოკჰოლმი.** ენკენისთვის 29. საგარეო პოლიტიკაზე კამათის დროს სოციალ-დემოკრატმა გრადენაუერმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატები ნდობით უყურებენ კიულმანის მოღვაწეობასო; პროგრესისტმა გაუსმანმა სურვილი გამოსთქვა, რომ კიულმანს განეცხადებინოს არა მარტო გერმანეთის მზად ყოფნა ბელგიის განთავისუფლების შესახებ, არამედ—კატეგორიული განცხადება მის თავისუფლების შესახებ. ნაციონალ ლიბერალმა შტრეზემანმა გაიზიარა ცენტრის ორატორის ფერენბახის აზრი, რომ ეხლა ახალ სამშვიდობო რეზოლიუციაზე კრიტიკა არ უნდა იყოს დაშვებული. ნაციონალ-ლიბერალები სანანულს გამოსთქვამენ, რომ საზავო ნოტა გაცემულ გერმანეთის პასუხში რეიხსტაგის სამშვიდობო რეზოლიუციაზე მიუთითებენ. კონსერვატორმა ვესტერპმა განაცხადა, რომ გერმანეთის ერი ზიზღით უარჰყოფს ვილსონის ნოტას. კონსერვატორების აზრით, საეჭვოა, რო სამშვიდობო კონფერენციებამ შეიარაღებაზე შეთანხმდეს, ვილსონის ნოტაში, ბელგიის თავისუფლებაზე მსჯელობა უტოპიურია. დასასრულ ორატორი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე გერმანეთს თავის წარმომადგენლები სრულ თავისუფლებით აღჭურვა. ორატორს იმედი აქვს, რომ კიულმანი გაიზიარებს ჩერნინის აზრს, რომელმაც სთქვა „ჩვენი პროგრამა შეიცვლება, თუ მტრები ომს განაგრძობენ"-ო.

## ამერიკის აზრი

**ნიუ-იორკი.** ენკენისთვის 27. „ასოსი ეტედ პრესს" იტყობინება: ვაშინგტონის მთავრობა დარწმუნებულია, რომ გერმანეთი გრძნობს დამარცხების აუცილებლობას და ზამთარში ინტრიგებს მიმართავს ზავის ჩამოსაგდებათ, რაც უკვე დაიწყო კანცლერის სიტყვით; შესაძლებელია გერმანეთი ელზასის დაცლასაც არ დაერიდოს; მაგრამ თავის გამარჯვებაში დარწმუნებული მოკავშირენი ყურს არ ათხოვებენ სიტყვებს, როდესაც გერმანელები საქმით არ ამართლებენო.

# რუსეთის რესპუბლიკა

## შრომის ბირჟები

**პეტროგრადი.** ენკენ. 29. საქალაქო და საერობო დაწესებულებებს უფლება ეძლევათ შრომის ბირჟისათვის საჭირო შენობების რეკვიზიციის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა; შუამდგომლობას საგანგებო თათბირი საჩქაროდ განიხილავს.

## გაფიცვა ქაღალდის ქარხნებზე

**პეტროგრადი.** ენკენ. 28. შრომის სამინისტროსთან საგანგებო თათბირი შესდგა ქაღალდის ქარხნებზე მომხდარ უთანხმოების შესახებ. შრომის მინისტრმა იმედი გამოსთქვა, რომ გაფიცვა მალე შესწყდება, რათა დამფუძნებელ კრებისთვის საჭირო ქაღალდის დამზადება მოესწროს და ამით კრების მოწვევა არ გადაიდოს.

## ახალი სესხი

**პეტროგრადი.** ენკენ. 28. ფინანსთა მინისტრს ნება დართეს 4 მილიარდამდე ახალი ქაღალდის ფულის დაბეჭდვისა.

## ბოლშევიკების გამარჯვება მოსკოვში

**მოსკოვი.** ენკენ. 29. მოსკოვის 17 სარაიონო საბჭოში აირჩიეს სულ 710 ხმოსანი: ბოლშევიკი—350; კადეტი—184; ესერი—104; მენშევიკი—31.

## ანარქია

### თავნებობითი ჩხრეკა

**სიმფეროპოლი.** ენკენისთვის 29. კარასუბაზარში ბრბომ ჩხრეკა მოახდინა და ქალაქის გამგეობის წევრი გადააყენა. საგუბერნიო კომისრის თანაშემწემ წესიერება აღადგინა. ასეთივე ცნობები მოდის ჯანკოიდან.

## ნათესების განადგურება

**პეტროგრადი.** ენკენ. 29. გუშინდელ დღის განმავლობაში შინაგან საქმეთა მინისტრს სხვა და სხვა ადგილებიდან ცნობები მოუვიდა უწესოების შესახებ. იტყობინებიან, რომ ანადგურებენ ნათესებს და სჩეხენ ტყეებს.

## რესპუბლიკის საბჭო

### ყაზახობის და ეროვნებათა წარმომადგენლები

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 28. ჩხეიძის თავმჯდომარეობით დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტის პრეზიდიუმისა და დემოკრატიულ ორგანიზაციების საბჭოს სხდომა მოხდა. წერეთელმა განაცხადა, რომ იურიდიულ კომისიაში აღძრულია საკითხი, რომ რუსეთის რესპუბლიკის საბჭოში 20 დამატებითი ადგილი ყაზახობას მიეცეს და 15 ეროვნებათა წარმომადგენლებს. დადგენილია აგრეთვე, რომ 45 დამატებითი ადგილი დემოკრატიასაც მიეცეს.

## უნივერსიტეტების წარმომადგენლები

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 29. პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლთა კრებამ რესპუბლიკის საბჭოსათვის აირჩია პროფესორი გრიმი, გზათა ინსტიტუტის დირექტორი ბრანდტი და პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის პროფესორი ლევინსონ-ლესინგი.

## საბჭოს დებულება.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 28. პროფესორ ლაზარევსკის თავმჯდომარეობით შესდგა იურიდიული თათბირი წინასწარ პარლამენტის დებულების განსახილველად. დემოკრატიის წარ-

# ქართული უნივერსიტეტისათვის

(ივ. ჯავახიშვილის მოხსენება ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე წაკითხული 12 მაისს 1917 წ. თბილისში და 17 მაისს ქუთაისში*).

[illegible]

ენის მხოლოდ მსგავსად შინაურობაში სახმარებელად „საყველპუროდ" იქცა. ქართული სამეცნიერო ენა მე-18-ე საუკ. და მე-19-ე საუკ. დამდეგს ქართველ მეცნიერთა დაუღალავ შრომის წყალობით გამოცოცხლებული ზემო აღნიშნული პირობებისა და გარემოებათა გამო ისე დაეცა და ჩამოქვეითდა, რომ განათლებული ქართველი სულიერად გადაგვარდა და თავის უგულითადეს და უწმიდეს გრძნობებისა და აზრების ქართულად გამოთქმა ძლივსღა ეხერხებოდა. ჩვენი ენა საუკუნოებით შემუშავებული და მდიდარი უცხო გავლენით წაირყვნა და შესაბრალისად გაღატაკდა. თუ ჩვენი ხალხი ეროვნულად არ გადაგვარდა და ჩვენმა დედაენამ ეგოდენ უმწეო მდგომარეობაში თავი შეინარჩუნა, თანდათანობით კვლავ მოღონიერება და ნელნელა აღორძინებაც კი დაეტყო, მხოლოდ ქართველ მოღვაწეების, პოეტების, მწერლების, დრამატურგებისა და მსახიობთა, თანაც თითოოროლა მეცნიერის თავგამოდებულ და დაუცხრომელ პირად მხნეობის წყალობით. ეკლიანი და საძნელო იყო მათი გზა, შემაძრწუნებელი იყო მათი მდგომარეობა, რაკი საზოგადოების შეუგნებლობისა და რუსთა მთავრობის მსახვრელი მტარვალობის გამო, იმ თავგანწირულ მუშაკებს მარტოო-მარტო და მხოლოდ საკუთარი თაოსნობითა და ძალღონით უნდა ეწარმოებინათ თავიანთი საყვარელი ეროვნული საქმე. მაგრამ მათმა წმინდა სულისკვეთებამ და სპეტაკმა, უანგარო მოღვაწეობამ შედარებით უხვი ნაყოფი გამოიღო: ჩვენმა ენამ ძალა მოიკრიფა, პოეზია არამც თუ გამოცოცხლდა, არამედ შემოქმედების მშვენიერი ძეგლებიც კი შეგვქმნა, ქართული ენა კვლავ საზოგადოებრივ დაწესებულებებში გაისმა და ეხლა უკვე რამოდენიმე ქართული სამეცნიერო საზოგადოებაც კი გვაქვს. რასაკვირველია ჯერ კიდევ ბევრი შრომა და მხნეობაა საჭირო, ქართულ მეცნიერებისა და აზროვნების აყვავებამდის ჯერ კიდევ ბევრი რამე გვაკლია, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ შესაძლებელია ქართულმა აზროვნობამ და ენამ წინანდებურად ლაღად ფრთა გაშალოს, ქართველობამ კვლავ აზროვნობის უმწვერვალეს სფერომდე აღმაფრენა შეიძლოს და თავის ამ სულისკვეთებისათვის შესაფერისად მოქნილი და მდიდარი ენა შეჰქმნას, ხოლო თუ ჩვენ გვინდა, რომ ამ ჩვენს აღორძინებას მტკიცე საფუძველი ჰქონდეს, ფესვები მაგრად გაედგას და უხვად გაიფურჩქნოს უნდა დაუყოვნებლივ ჩვენს თანამედროვე ვითარებას ჩავუკვირდეთ და საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა შევიმუშავოთ, რომლის განსახორციელებლად არაფერი უნდა დავზოგოთ და არავითარ დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევდრკეთ. საქართველოს თანამედროვე აღორძინება უეჭველია ჯერ კიდევ ძალიან ნორჩია, რომ მას გულმტკივნეული მზრუნველობა არ ესაჭიროებოდეს. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არც ერთს ერთვნებას და ქვეყანას არ შეუძლიან შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიაც კი თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა და-

*) იხ. „საქართველო" № 233.

მომადგენლად წერეთელი იყო. განიხილეს წინასწარ პარლამენტის უფლებების, მოვალეობისა და მისი მთავრობისადმი დამოკიდებულების საკითხები.

### საბჭოს დებულების პროექტი

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 30. დროებითი მთავრობის სხდომებზე, რომლებიც კონოვალოვის თავმჯდომარეობით და წერეთლის თანადასწრებით ხდებოდა, განიხილეს იურიდიულ თათბირის მიერ შედგენილი პროექტი რესპუბლიკის საბჭოს დებულებისა. გადასწყდა დარჩეს სახელწოდება „რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭო". საბჭოში წევრთა რაოდენობა უნდა უდრიდეს 555. მათ შორის 388 დემოკრატიის წარმომადგენელი და 167 ცენზიან ელემენტებისა. საბჭოს გახსნა დანიშნულია ღვინობისთვის 5-სათვის. საბჭოს მოსაწყობად წინასწარ ხარჯებისათვის გადაიდო 475,000 მანეთი.

### დამფუძნებელ კრების სამზადისი

#### წესდების შედგენა.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 30. დროებითი მთავრობასთან არსებული იურიდიული თათბირი შეუდგა დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის სამზადისს. შეადგინეს ცნობები რევოლუციურ გარდაქმნათა შემდეგ მომხდარ დამფუძნებელ კრებების შესახებ და აღმასრულებელ მთავრობის ორგანიზაციებზე, შეიმუშავა აგრეთვე პროექტი იმ დროებით წესებისა, რომლითაც დამფუძნებელ კრების წევრთა ხელშეუხებლობას შეეხება. თათბირმა ანგარიში გაუწია პრინციპიალურ მოსაზრებებისა და ისტორიულ პრეცენდენტებს და გადასწყვიტა რომ დროებით მთავრობამ მხოლოდ და მხოლოდ კრება გახსნილად უნდა გამოაცხადოს. ამის შემდეგ მან უმაღლესი მთავრობა უნდა მოიხსნას. მინისტრები დარჩებიან მიმდინარე მმართველობის ორგანოს სახით, ვიდრე კრება თავისთან აღმასრულებელ მთავრობას შეადგენდეს. თათბირმა შეიმუშავა აგრეთვე დროებითი წესები დეპუტატთა იმუნიტეტისა და დამფუძნებელ კრების მონაწილეთა სურსათისა. მუშავდება დროებითი ნაკაზის პროექტი, რომელიც მასალად კრების გადაეცემა. შეიმუშავებენ ცნობებს რესპუბლიკაში აღმასრულებელ მთავრობის ორგანიზაციის შესახებ.

### ეროვნული საკითხი

#### ფინლიანდია და რუსეთი

##### კოალიციური სენატი

**ჰელსინგფორსი.** ენკენისთვის 28. სეიმის არჩევნები დასრულდა და ეხლა სენატის გარდაქმნაა საჭირო. რადგან დროებითმა სენატმა თავის მოვალეობა აასრულა. იწყებიან, რომ უკვე დაიწყო პარტიების მოლაპარაკება კოალიციურ სენატის შედგენის თაობაზე სენატს შეადგენენ ახალ სეიმის პარტიულ ჯგუფებთან შეფარდებით.

### სენატის იურიდიული კომისია

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 29. ფინლიანდიის სენატის იურიდიულ კომისიაში სათათბიროდ იგზავნებიან: დროებით მთავრობასთან არსებულ იურიდიულ კომისიის წევრი სენატორი გრიმი, სენტონი, ბარონი ანოლდი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი აჯემოვი, ბარონი ბ. ნოლდე, დროებით მთავრობის საქმეთა გამგე გალპერნი და იურიდიულ თათბირის საქმის წარმოების გამგე მარალი.

### ახალი სეიმის მოწვევა

**პეტროგრადი.** ენკ. 30. დროებითი მთავრობის სიგელი. ქალაქ ჰელსინგფორსში სეიმის მოწვევის შესახებ გამოიცა პეტროგრადს 1917 წელს ენკენისთვის 30-ს (ღვინობისთვის 13). დროებითი მთავრობა უცხადებს ფინლიანდიის ყველა მოქალაქეთ, რომ, 1916 წ. მკათათვის 7-ს (მკათათვის 30-ს) შედგენილ სასეიმო წესდების თანახმად, დროებითმა მთავრობამ უბრძანა სეიმს ქალაქ ჰელსინგფორსში შეკრება 1917 წ. ღვინობისთვის პირველიდან გიორგობისთვის 19-ს. ამისთვის ყველა სეიმის დეპუტატს მართებს დანიშნულ დროზე ჰელსინგფორსში ჩამოსვლა.

სიგელს ხელს აწერენ: მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე ა. კონოვალოვი. დროებით მთავრობის ყველა მინისტრები და ფინლიანდიის საქმეთა მდივან—ენკელი.

### უკანასკნელი დეპეშები

**რკინის-გზათა ყრილობა მოწვეულ იქნება პეტროგრადში ღვინობისთვის 25.**

—

**სამარის რკინის-გზის ხაზზე გაფიცვა გრძელდება.**

—

**მთავრობა მოკლე ხანში საგანგებო მოწოდებით მიმართავს რუსეთის მცხოვრებლებს, ჯარს და ფლოტს, რომ გარეშე მტერის მოსაგერიებლად ყველა შეერთდეს.**

—

**პეტროგრადის სასურსათო საქმის გამგეს, თბილისის მოქალაქეს ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვს შემდეგი განუცხადებია პრესის წარმომადგენელთათვის: სასურსათო მდგომარეობა უვარესდება. პეტროგრადის სასურსათო ბიუჯეტი 45 მილიონს მანეთს უდრის. კუდების მოსასპობად უნდა დაგვეხმარონ ბინის პატრონებმა, რომელთაც უნდა ხელი შეუწყონ სურსათის განაწილებას. ამასთანავე გამრავლებული იქნება სასურსათო დუქნები. განზრახულია მოვახდინოთ რძის სინდიკატი, ამიტომ პროდუქტების ყიდვის ნება გადაეცემა მხოლოდ რამოდენიმე პირებს, სადანაც ყველას უფლება ექნება განსაზღვრული რაოდენობის ყიდვისა.**

### ქრონიკა

#### თბილისი

◆ **ირ. წერეთლის და ა. ჩხენკელის ჩამოსვლა.** დღეს კავკავში ჩამოვლენ პეტროგრადიდან, ხოლო ხუთშაბათს ღვინობისთვის 5-ს თბილის ჩამოვლენ ავტომობილით საქართველოს სამხედრო გზით. მათ შესახვედრად დღეს კავკავს მიემგზავრებიან ფოსტა-ტელეგრაფის კომისარი ექ. ი. მამულია და ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის რწმუნებული ნ. ქარცივაძე.

◆ **ქართულ ეკლესიის გარშემო.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა დაადგინა, რომ სანამ სინოდი არ დაამტკიცებს საგანგებო კომისიის გარდაწყვეტილებას, მანამდისინ გადაცემა ბოდბის მონასტრისა, მონასტრის მეტოქის („პოდვორიე") თბილისში და მონასტრის ქონების საქართველოს კათალიკოსის სამმართველოსადმი კანონის დარღვევა იქნებაო.

◆ **შაქრის ულუფის შემცირება.** სასურსათო სამინისტრომ წინადადება მისცა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებს შეამოკლონ შაქრის რაციონი. მიზეზი შაქრის წარმოების შემცირებაა. შაქარს წინანდებური ზომით მხოლოდ იმ ქალაქების მცხოვრებთ მისცემენ, სადაც სხვა საკვებ ნივთების დიდი სიმცირეა.

◆ **დასახიჩრებულ მხედართა კავშირი.** ღვინობისთვის 5 თბილისის ადგილობრივ დროებით ლაზარეთის აშენებაში (ტრავმოტოლოგიური ინსტიტუტი), კახეთის ქუჩა № 23, შუადღის 4 საათზე მოხდება თბილისის დასახიჩრებულ მხედართა კავშირის საერთო კრება. კრების საგანია წესდების დამტკიცება, მუდმივი ბიუროს წევრებისა და სხვა და სხვა დაწესებულებაში წარმომადგენლების ამორჩევა.

◆ **ქართული უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 8 საათზედ, თავად-აზნ. სადეპუტატო საკრებულოს სადგომში (ფრეილინის ქუჩა, 11) დანიშნულია პირველი კრება ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოებისა.

◆ **ჟურ. „თეატრი და ცხოვრების"** სასარგებლოდ ქართულ კლუბში ღვინობისთვის 9, ორშაბათს, გაიმართება სამუსიკო-სალიტერატურო - საცეკვაო საღამო.

◆ **სურსათ-სანოვაგე.** 29 ენკენისთვიდან 2 ღვინობისთვემდის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მიიღო 23 ვაგ., ფქვილი, ფხვნილი შაქარი 2 ვაგ., ქერი 1 ვ., კარტოფილი 5 ვაგ.

◆ **ფართალის აწერა.** გუშინ, ღვინობისთვის 2-ს, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის განკარგულებით დაიბეჭდა საფართლე მაღაზიები, რადგან კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს საქონლის აღწერა და დაუბეჭდავად ეს შეუძლებელი იყო, ვინაიდან მაღაზიებიდან საქონელი გაჰქონდათ დასამალავად. ფართლეულობა გაიყიდება მხოლოდ ბარათებით, რომელნიც დაჩქარებით მზადდება, შემუშავებულ ფასებში. საწყობებიდან საქონელს მისცემენ მხოლოდ კოოპერატივებს და დაწესებულებათ, კერძო მოქალაქეთ-კი, წვრილი დუქნებიდან.

### უწესოება თბილისის ვოქზალში.

ღვინობისთვის პირველს, ნაშუადღევის 3 საათზე, სალდათების ერთს ჯგუფს ლაპარაკი მოუხდათ რკინის გზის კომენდანტის თანაშემწე შტ.-კაპ. კონსტანტინოვთან ვაგონის თაობაზე. ლაპარაკმა მეტად ცხარე ხასიათი მიიღო, ასე რომ კონსტანტინოვის მდგომარეობა საშიში გახდა და ის ვაგზლიდან გაიქცა. მაგრამ სალდათები მას უკან დაედევნენ და აღარ ეშვებოდნენ. გოგოლის ქუჩაზე კონსტანტინოვმა რევოლვერი დასცალა სალდათების შესაშინებლად, მაგრამ ამან უფრო გააბრაზა ისინი. ამ დროს საუბედუროდ კონსტანტინოვს სალდათების მეორე ჯგუფი შემოხვდა წინ და ამრიგად ის ორ ჯგუფს შუა მოჰყვა. დაუწყეს უმოწყალოდ ცემა კონსტანტინოვს, არაფრად აღარ ზოგავდნენ—არც ჩექმების ქუსლით, არც აგურებით, არც ჯოხებით. ბოლოს, როგორც იქნა, ცოცხალ მკვდარი კაცი გამოსტაცეს ხელიდან გამხეცებულებს და ლაზარეთში № 8 გაგზავნეს. კონსტანტინოვის გადარჩენა საეჭვოა. ვოგზალში სასწრაფოდ გაწვეულ იქმნენ შეიარაღებულ ყაზახები და ქვეითა ჯარის კაცები.

### ჯამაგირების მომატება რკინის გზეზე

**პეტროგრადი.** ენკენ. 30. დროებითმა მთავრობამ რკინის გზათა მუშების, მოხელეების და მოსამსახურეთათვის ახალი ჯამაგირი გადასწყვიტა. დამფუძნებელ კრებამდის ჯამაგირები 14 კატეგორიებად იქნება გაყოფილი. ახალი ჯამაგირი ენკენისთვის პირველიდან ჩაითვლება. გასავლის დასაფარავად სდებენ 235 მილიონ მანეთს. გზათა მინისტრმა დროებით მთავრობას უნდა წარუდგინოს პროექტი რკინის გზის მოსამსახურეთა მუდმივ ჯამაგირებისა და სამსახურის საერთო პირობებისა. ამასთან ერთად ფინანსების მინისტრს ევალება იზრუნოს რკინის გზათა ტარიფების გადიდებაზე. უნდა მოემატოს როგორც ბარგის გადატანის ისე სამგზავრო ტარიფებს. ტარიფების გადიდება გამოწვეულია რკინის გზის მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატებით.

### სომხების ეროვნული ყრილობა

28 ენკენისთვეს თბილისში სომხების ეროვნული კონფერენციის სხდომები დაიწყო. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ წარმომადგენელნი სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიებისა, სამეცნიერო, საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა სხვა და სხვა ქალაქის თვითმართველობათა სომხური ფრაქციებისა, კოოპერატიულ ამხანაგობათა, საქველმოქმედო საზოგადოებათა, სომხის მწერალთა და სასწავლებელთა მაგ. ეჩმიაძინის აკადემიისა, ლაზარიანთ ინსტიტუტისა, სასულიერო სემინარიებისა და სხვათა). დელეგატთა რიცხვი ორასზე მეტია. 28 ენკენ. სხდომას კერძო ხასიათი ჰქონდა, 29-ს კი არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი და გადაწყდა სექციების შედგენა. სულ ხუთი სექცია იქმნება: 1) სასურსათო და გადმოხვეწილთა საქმისა, 2) საზღვართა გადამიჯვნისა და ეროზისა, 3) ადგილობრივ მმართველობისა და სხვა ერებთან დამოკიდებულებისა, 4) ფრონტის დაცვისა და დაზარალებულ ადგილების უზრუნველყოფისა.

### სამთამადნო ყრილობა

ენკენისთვის პირველს თბილისში, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე დაიწყო სამთამადნო ყრილობა. გამოცხადდა 100 კაცზე მეტი. მათ შორის არიან: მწარმოებლები, გეოლოგები და სამთამადნო საქმეების მცოდნენი. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი კრებისა: თავმჯდომარედ ინჟენერი ა. ლემანი, თავმჯდომარის ამხანაგებად თავ. დ. აფხაზი, პოლკ. მალამა, ა. ერნი და გ. ალაბაშოვი, მდივნებად—ვ. გოცირიძე, ი. ევდოკიმოვი და სპექტორი. საღამოს კრებაზე ინჟენერმა კ. რაპიცკიმ მოხსენება წაიკითხა სამთამადნო საქმის მდგომარეობის შესახებ კავკასიაში. როგორც მოხსენებიდან სჩანს, უკანასკნელ წლებში შესამჩნევად შემცირებულა მთამადნების მუშაობა. თავ. დ. აფხაზმა წაიკითხა მოხსენება საეკონომიო კომიტეტების დაარსების შესახებ, რომელსაც სარაიონო ორგანიზაციები ექნება კავკასიის სხვადასხვა ადგილას. განზრახულია სულ სამი კომიტეტის დაარსება. ინჟენერმა ზავალიშინმა ურჩია კრებას მოაწყოს მთამადნების მწარმოებელთა კავშირი. ვ. გოცირიძემ თავის მოხსენებაში საკმაოდ განმარტა მადნების მუშათა მდგომარეობისა და გაუმჯობესობის შესახებ საკითხი. გეოლოგები ბ. ბეფერტი და დ. ხალტკინი შეეხნენ რუსის ჯარების მიერ დაპყრობილ ოსმალეთის ადგილების მადნებს და განმარტეს რომ ეს მადნები ერთობ უმნიშვნელოა და კარგი მომავალი არ აქვსო. სხდომა ღამის 12 საათამდე გაგრძელდა.

### მცხეთობა და კათალიკოზის კურთხევა

პირველი ოქტომბერი ამიერიდან შეურყეველი სვეტია ქართულ ეკლესიისა და ერის თავისუფალ ცხოვრებისათვის.

12 მარტს ჩაეყარა მას საძირკველი და გუშინ-წინ კი მძლედ განმტკიცდა ხალხის გახსნილ გულში.

სვეტიცხოვლის მაღალმა კედლებმა პირველად საუკუნე მწუხარების შემდეგ გაანათეს წმიდა სიხარულით ამაღლებული ერის ზეიმი და ამაყად მოირთვეს თავი, რომ თავისი ნათელი სიწმიდით ეკურთხათ ნათელი ეკლესიის თავისუფლება და განაწამებ ერის სიხარული.

ხალხის [illegible] აღფრთოვანება, რომელმაც პირველად გამართა ერშა თავის ამაყ ბედნიერებისათვის საუკუნოდ სამახსოვროდ ხდიდა თავისუფლების გვირგვინობის დღესასწაულს. საქართველო ყოველის კუთხისა ერთის ფიქრით მოცული და ერთის ამპარტავნებით თავ აწეული მთლიანი აღტაცებით ელოდა, რომ ეხილა თავისი ნებით ამორჩეული თავისი ეკლესიის უნეტარესი პატრიარქი-კათალიკოსი.

და ეს წამი მათის შეხვედრისა ძნელად თუ დაავიწყდება ვისმეს.

სადგურის ბაქანი დროშებით და ყვავილებით შორთული აუარებელი ხალხით გაჭედილი, სულგანაბული, კათალიკოსის მატარებლის მოსვლისას თითქოს ერთ ცქერად იქცა.

ბაქანის გვერდზედ სალამისათვის ჩამწკრივებულა ჩოხაში ჩასმული და ფარ-ხმალ მომარჯვებული მთიულთა მხედრობა.

თავის ამაყ მთებიდან ჩამოსულან ფშავთა და ხევსურთა არწივნი, რომ თავი დახარონ კათალიკოსის წინაშე და ხელი ძმობისა მისცენ თავის ბარულ ძმებს.

ბაქანის შუა გულში რკალი შეუკრავთ მაღალ ქუდაჯიან ჭაბუკებს და თეთრებში მორთულ ასულთ, საქართველოს ახალგაზრდობას, ეროვნულ დემოკრატიულ სტუდენტებს. ცისფერს დროშას ორი სურათი ამშვენებს: ნინო და რუსთაველი—უწმინდესობა საქართველოს ეკლესიისა და დიდება ქართული კულტურისა.

პატრიარქ - კათალიკოსის ვაგონი მის დასასვენებლად გამზადებულ ოთახთან ჩერდება და მისი უწმიდესობა მიტროპოლიტისა და ამალის თანხლებით ნელა მიემართება ქუდაჯებში მორთულ ჭაბუკთა გაკავებული გზით. პირველად ესალმებიან იმერეთის სამღვდელოების სახელით და კავკასიის ჯარის წარმომადგენელი ღენერალი.

პატრიარქის ავტომობილი გარშემორტყმული აუარებელი ხალხით ნელა იძვრის სვეტიცხოვლისკენ. ხიდთან მწვანე ფოთლების დიდი თაღია გაკეთებული და აქამდე დუშელი ცხენოსანი წმიდა გიორგის დროშით. პროცესიის შესახვედრად დაწინაურებულა. ზაზალეთის ტბაზედ გამოვიარეთ—ამბობს მათი წარმომადგენელი—და ილიას ბავშვმა ტბის ძირიდან ამომჩხავლა, რომ ამოიყვანოთ და იხსნათ იგიო.

პროცესია ისევ ნელა თავის გზით მიდის. ხალხით გარშემორტყმულნ მანქანა ძლივს იკვლევს გზას.

ტაძრის უზარმაზარი გალავანი ხალხით არის გატენილი თვით ტაძარში შესვლა ბილეთებით არის, მაგრამ მაინც სავსეა.

ხალხი მოუთმენლად ელის ზარების ხმას, რომელმაც უნდა ამცნოს მათის უწმინდესობის მოახლოვება.

---

მოკიდებული. ცნობილია რომ გერმანიის ქიმიურ ნივთიერებათა და სამხედრო მრეწველობის განმაცვიფრებელი ზრდა გერმანული საქიმიო მეცნიერების დაუცხრომელ წარმატების ნაყოფია. თუ გერმანია ამ მსოფლიო უმაგალითო ომის ტვირთის სიმძიმეს ყველაზე უკეთესად იტანს და ყველგან სადაც იგი მოქმედებას დაიწყობს ხოლმე, მისი ყოველივე ნაბიჯი მიზანშეწონილია, ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ თეორიული სოციალური და ჰუმანიური მეცნიერებანიც იქ მაღალ ხარისხამდე არის განვითარებული და მუშაობა შეუჩერებლივ სწარმოებს. რაც უნდა კარგად შეისწავლოს პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტეხნიკის თვით უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი, თუ რომ თეორიული მეცნიერება მას საფუძვლიანად მუდამ ნიადაგს არ უმაგრებს, ამგვარს ცოდნას ვითარცა ნამდვილ ხელოვნურსა მცირედი დირებულება აქვს და თანდათან უნდა უეჭველად ჩამოქვეითდეს. ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ. რა გზით? ჩვენი წარსულის მაგალითითგან ნათლად სჩანს, რომ უმაღლეს მეცნიერებისა და მწერლობისათვის განსაკუთრებულნი დაწესებულებანი და მეცნიერია საკმაო რიცხვია საჭირო. როგორც ვიცით ძველად ქართულნი მონასტრები ჩვენ სამშობლოში და უცხოეთში. მოძღვარნი და მოძღვართა მოძღვარნი ამ დიად მიზნის განხორციელებას ემსახურებოდნენ. უკვე აღნიშნული იყო, რომ კარგა ხანია რაც ჩვენ ამის მაგიერი არც დაწესებულებანი. საქართველოში ერთად თავმოყრილნი გვყვანან. ის ორიოდე სამეცნიერო საზოგადება, რომელიც გვაბადია, რასაკვირველია სრულებით საკმარისიც არ არის და მათ საპატიო მუშაობასაც შემთხვევითი ხასიათი აქვს. არქეოლოგიისა, ისტორიისა, ეთნოგრაფიისა, მწერლობისა, მკურნალობისა და ბუნებისმეტყველობის გარდა ჯერ ერთი რომ მეცნიერების მრავალი სხვა დარგიც არსებობს და თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი წარმატება ყოველმხრივი და საფუძვლიანი იყოს, უნდა იმდენს ვეცადნეთ, რომ ჩვენი მეცნიერება მთელის თავისი მრავალფეროვანებით და მრავალმხრივობით გაფურჩქნოს. მეორე ისა, რომ აწინდელს ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებაში საქმეური მუშაობა უნებლიედ სხვათა შორის სწარმოებს. მათი წევრნი სხვა თავიანთ პირდაპირ მოვალეობით არიან დატვირთულნი და ქართულს მეცნიერებას და სამეცნიერო საზოგადოებას შეუძლიანთ მხოლოდ იმდენად ემსახურონ, რამდენადაც მათ მოცლა ექნებათ. უნებლიედ მათი მუშაობა სამშობლოსათვის მათი გულმოდგინეობის ნამეტანობის ნაყოფია ხოლმე. მეცნიერებას კი მუდმივი და დაუცხრომელი მსახურნი და ქურუმნი სჭირია. ეს მხოლოდ, ვინც მთელ თავის ძალ-ღონეს ანდომებს. შესძლებს კიდეც, რომ მსოფლიო მეცნიერების მსწრაფლ განვითარებას არ ჩამორჩეს. თუმცა უნივერსიტეტი და სხვა უმაღლეს სასწავლებელში მყოფი მეცნიერი ქართველი მეცნიერი, დოცენტები, ასისტენტები და ლაბორანტები არც ისე ცოტანი გვყვანან, როგორც ბევრსა ჰგონია, მაგრამ თითქმის ყველანი რუსეთის და თითო ოროლა უცხოეთის სხვა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში არიან გაფანტულნი. ქართული მეცნიერებისათვის სამსახური მათ პირდაპირს მოვალეობას არ შეადგენს და ამის გამო მომეტებული მათგანი იძულებულია მთელი თავისი ნიჭი და ძალღონე რუსულ მეცნიერებას და რუსულ უმაღლეს სასწავლებლებს შეალიოს. ასე შორიშორს მყოფნი და გაფანტულნი თუნდაც რომ ქართულ მეცნიერებას თავგანწირულ მხნეობით ემსახურონ ცხადია მაინც ქართულ სამეცნიერო მწერლობას და სკოლას ვერ შექმნიან. ამისთვის უნდა ერთი ქართული სამეცნიერო უმაღლესი დაწესებულება შეიქმნას, რომლის წევრთა უმთავრესსა და პირდაპირს მოვალეობას მხოლოდ ქართულ მეცნიერებისათვის სამსახური და მის წარმატებასა და აყვავებაზე ზრუნვა უნდა შეადგენდეს. მარტო ამგვარს დაწესებულებას შეუძლიან ქართულ მეცნიერებისა და შემოქმედებითი აზროვნების დაუფასებელ, ცხოველმყოფელ ფერად და მანათობლად იქცეს. რაკი ამ აზრის სიმართლე ვგონებ თავის-თავად ცხადი უნდა იყოს, ამიტომ ეხლა ის საკითხიღა გვაქვს გამოსარკვევი, თუ რა სახისა უნდა იყოს ეს ქართული უმაღლესი დაწესებულება. ზოგს ჰგონია ჩვენში, რომ ასეთ დაწესებულებად სამეცნიერო აკადემია უნდა იყოს და სწორედ სამეცნიერო აკადემიის დაარსება მიაჩნიათ საჭიროდ. მაგრამ სრულებით შემცდარი აზრია". რაკი სამეცნიერო აკადემია რაღაც უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებად ითვლება და აკადემიკოსობისათვის არავითარი საგანგებო არც სამეცნიერო გამოცდა და არც ხარისხი არის საჭირო, არამედ აკადემიკოსად ირჩევენ ხოლმე უკვე სახელგანთქმულ მეცნიერებს, ამის გამო სამეცნიერო აკადემიებში საქმე ისეა დაყენებული, რომ ჩვეულებრივ 45—50 წ. უფრო ჯიელი მეცნიერს იშვიათად თუ ეღირსება ხოლმე აკადემიკოსობას. ხოლო რაკი შემოქმედებისა და სამეცნიერო ნაყოფიერებისა ძალა ადამიანს სწორედ 30—50 წლოვანობის ხანაში შესწევს და აზროვნობასაც ამ ხანაში თავისუფალი აღმაფრენა და ჭაბუკური გამბედაობა აქვს, ასე გამოდის, რომ სანამ მეცნიერი უფრო ნაყოფიერი და ძალღონით სავსეა, ის აკადემიკოსად არ ითვლება და როცა უკვე სახელი მოუხვეჭნია და სიბერე ეპარება, ის აკადემიკოსად ხდება. ამასთანავე რადგან აკადემიკოსის მოვალეობაა ახალგაზრდა მეცნიერთ მფარველობა გაუწიოს და მოეხმაროს, ამიტომ აკადემიკოსების მოღვაწეობა მოუცლელობისა გამოც დიდ ნაყოფიერებას ვერ იჩენს იგი იძულებულია სხვათა და თავის წინამოადგილეების შრომების გამოქვეყნებას შეალიოს ისედაც უკვე ხანში შესული პირადი ნიჭი და ძალღონე. ამას გარდა, სამეცნიერო აკადემია ვიწროდ შემოზღუდული დაწესებულებაა, მეცნიერების სრული და მთლიანი სამფლობელოს მაგიერ იქ ყველა დარგები კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მხოლოდ ზოგიერთი უმთავრესი ესეც არის, რომ სამეცნიერო აკადემია მარტო თვით აკადემიკოსებისათვის არსებობს, საზოგადოებასთან მას მცირედი დამოკიდებულება აქვს, მოზარდ თაობასთან ხომ არავითარი კავშირი არა აქვს და ამის გამო მისი მოქმედების და გავლენის სფეროც შედარებით ვიწროდ არის შემოზღუდული. სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერება მთელის თავის მრავალმხრივობითა და მრავალფეროვანებით სუფევს; ყველა თავის მიმართულებით, სამეცნიერო გამოცდების და ხარისხების წყალობით იქ ერთად მოღვაწეობენ სიცოცხლითა, ნიჭითა და გამბედაობით, სავსე ახალგაზრდა მეცნიერნიც და სიბრძნის ბრძმედით გაკაჟებული განთქმული მეცნიერნიც. უნივერსიტეტი ამასთანავე უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაც არის და იმავე დროს უმაღლეს მეცნიერების სასწავლებელიც, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა და ჭაბუკნი, მომავალი თაობა მეცნიერ-მკვლევართა მოძღვრებითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათან მის თანამოაზრედ ხდება. აქ მჭიდრო სულიერი კავშირია მეცნიერთა და მომავალ თაობას შორის. აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი, შეუჩერებელი მიმდინარეობა და მეცნიერება დაუშრეტელ, ცოცხალ ძალად არის ქცეული. სწორედ ასეთი დაწესებულებაა ჩვენ ქართველებისათვის საჭირო. სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტის ერთად შენახვა ჩვენ არ შეგვიძლიან და არც იმოდენი ძალა შეგვწევს, ამიტომ ცხადია ჩვენი მოვალეობა უნდა იყოს ქართულ უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე ვიზრუნოთ და არა აკადემიაზე. დასავლეთ ევროპის მაგალითიც ნათლად გვიჩვენებს, რომ იქაც ჯერ უნივერსიტეტები იყო, ხოლო შემდეგ აკადემიები გაჩნდა. ჩვენშიაც მომავალი გვიჩვენებს, საჭირო იქნება (და თანაც შევძლებთ) თუ არა ისეთ ძვირფას დაწესებულების შექმნა, როგორიც სამეცნიერო აკადემიაა? ამ ჟამად კი ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა.

მაგრამ იქნებ უკეთესი იყოს მომავალი ქართული უმაღლესი სასწავლებელი ტეხნიკური იქნეს და არა უნივერსიტეტი. ამშინვე უკვე როდესაც ამ რამდენისამე წლის წინათ თბილისში რუსული უმაღლეს უმაღლეს სასწავლებელზე იყო ლაპარაკი, ქართველი საზოგადოების აზრი ნათლად გამოირკვა. მთელი ქართველობა უნივერსიტეტს თხოულობდა და ეხლაც უეჭველია იმავე აზრს უნდა მივდიოთ. ტეხნიკურ სასწავლებლებთან უნივერსიტეტს ის ცხადი უპირატესობა აქვს, რომ უნივერსიტეტში მეცნიერების შემოქმედებითი, დამავიწყებელი ძალა, თეორიული კვლევა-ძიებაა გაბატონებული, ტეხნიკურ უმაღლეს სასწავლებლებშიაც კი ყურადღება განსაკუთრებით თეორიული მეცნიერების პრაქტიკულად გამოყენებაზეა მიქცეული. სულ ერთია ტეხნიკურ სასწავლებლებშიაც საზოგადო თეორიული მეცადინეობის სწავლებაც უნდა იყოს და ჩვენ არც ქონებრივად შეგვიძლიან და ჯერ ჯერობით არც იმოდენი კულტურული ძალა შეგვწევს, რომ უნივერსიტეტიც და რამოდენიმე ცალცალკე ტეხნიკური სასწავლებელიც, გინდ მარტო ერთი სრული პოლიტეხნიკუმიც შევინახოთ. უნივერსიტეტთან კი შემდეგში შეიძლება სასოფლო მეურნეობისა და სხვაგვარი ტეხნიკური ინსტიტუტები დაარსდეს. თეორიულ მეცნიერებას სხვებთან ერთად უნივერსიტეტში მოისმენენ და შეისწავლიან. ამ გზით ხარჯებიც ძალზე შემცირდება და მეცნიერთა რიცხვიც გაცილებით ნაკლები დაგვჭირდება. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ მომზადებულ ქართველ მკვლევარ-მეცნიერთა სიმცირე პირველ ხანებში მაინც ძალიან საგრძნობი ქნება. ცხადია, რომ ის ქართული უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უნდა დაარსდეს, უეჭველად უნდა უნივერსიტეტი იყოს.

(შემდეგი იქნება)

წესრიგს მწყობრად იცავენ ქართველი ჯარისკაცები. მათი ცეცხლის ფერი ქუდები ელავენ ყოველ მხრიდან და ნათელ ზეიმს კიდევ უფრო აფერადებენ.

ჩამოჰკრეს ზარი—კათალიკოსმა გალავანს მიაღწია.

(დასასრული ხვალ)

# სომეხთა კათალიკოსის დეპეშა კირიონ მეორეს

როგორც თავი სომეხთა ავტოკეფალურ ეკლესიისა გულითად სალამს გიძღვნით საქართველოს ეკლესიის კათალიკოსად კურთხევისა გამო. ისმინოს ღმერთმა ლოცვა ჩემი და მიანიჭოს საქართველოს ეკლესიას ბრწყინვალე მომავალი, რათა ემსახუროს იმ ძვირფას თავის შვილებს, რომლებიც მთელის საუკუნოებით ძმურის კავშირით ცხოვრობდნენ ჩემ ხალხთან ერთად.

დღესასწაულზე დასასწრებად გამოიგზავნენ ეპისკოპოსი მხითარი და ხორენი.

სრულიად სომხეთის უმაღლესი კათალიკოსი კევორკ მე-V.

# † ნატალია ბარათაშვილის ასული

26 ენკენისთვეს მიწას მიაბარეს ახლად განსვენებული ბარათაშვილის ასული. იგი დისწული იყო მგოსან ნიკ. ბარათაშვილის. მართალია, განსვენებულს მაღალი სწავლა-განათლება არ მიეღო, მაგრამ ადამიანობით და უბადლო ხასიათებით არ ჩამოუვარდებოდა ჩვენს განათლებულს მანდილოსნებს. სათნოიანი, ღარიბის შემწყალე, უსაზღვროდ ნათესავ ნაცნობებისა მასში ჰმოწმობდა დიად შთამომავლობის ნაპერწკალი. დიაღ, ხსენება მისი იყოს სამარადისო ჩვენს შორის!

გ. მ.

# ჩაგნელებული არმაზი.

საქართველოს ხალხი ოდითვე ანათებდა მზეს... ერი მზის მსახური და ნათელშემოქმედი არ იცნობდა ღმერთს გარეშე მზისა.

ცხელ ქალდეაში მან ადიდა ასტარტა და სარკინეთის მხიარულ მწვერვალზედ მან შეამკო არმაზი ოქროთ, ზურმუხტით და ბივრიტებით. ერი თანა არსი და თანამოდგამი უკვდავი ცეცხლისა საღვთო როკვით ჰპატიჟობდა დილიმზეს—„მზევ შინ შემოდიო!“ და ისიც მოეგებებოდა მას და გაასხივა ოქროიან სხივებით. ქართველმა ხალხმა იწამა ქრისტე როგორც ნათელი სოფლის. არმაზიც მზეს ემაგიერებოდა და როგორც მზის მოციქული, თვისი უღირსობის მიუხედავად, იგიც პატივსაცემ საფეხურად ითვლება ქრისტემდე...

საქართველოს სულიერმა მოძღვრებამ გასტეხა კერპი, და მზის მოციქულის ნაცვლად, რაკი ამაღლებულ კულტურას აღარ მოუხდებოდა არმაზი, იწამა ნათლის მთავარი, შრომნებზედ მოუბარი ახალგაზრდა ღმერთი.

ჩვენ გვიყვარს მზე და ქრისტეც, რადგანაც სული ჩვენი ნაზია ველის ყვავილივით. ჩვენ, სიმღერისას გვეცვა მეფისქალთა ვარსკვლავები და მარად ვახსენებდით მზეს. ჩვენ გვიყვარდა ჩვენთან ერთად ჩვენი ორეული. ჩვენ ვაფასებდით ერანს მუდამ მთვრალს და ყვავილიანს—თუმცა ჩვენ იგიც შევანელეთ ელინიზმივით და გვანათეთ ქართულად. სამაგიეროდ ჩვენ არ გვიყვარდა ალმოსავლეთის მისტიციზმი და მის ბუნდოვანობას ნათელ სიმღერებით ვებრძოდით. მართალია, სული ჩვენი დაბნელებულა კიდეც კიდეც და მისი მიზეზები ამოიკითხება ქართლის ცხოვრებაში მატიანეში, მაგრამ ყველაზედ მაზრალებელი ჩვენთვის ჩრდილოეთის წყვდიადი გამოჩნდა.

ჩვენ გავალეთ დარიალი იმ ფიქრით, რომ იგი მზეს იქერდა, მაგრამ მზის ნაცვლად სიცივე შემოიჭრა. მართალია, სული ჩვენი არ ეწონა ციმბირის ღმერთებს მაგრამ მოიზიდა და გაუწყინდურდა. სამწუხაროდ მეცხრამეტე საუკუნე იმაყებს საქართველოს რუსეთით ბაძვით. ჩვენ წაგვართვეს მზე და ვეღარც ვიტყოდით მზის სიტყვას, რადგან ჩვენს ძარღვებში ლურჯ საფიროვნივით სისხლი მდინარებდა..

კერძოდ, მეცხრამეტე საუკუნეს ვერ ედრება ვერც თეთრ მარმარილოსებური ათინა, ვერც ნაზი რენესანსი და ვერც ლუდოვიგ მე-XIV საფრანგეთი. საქართველოსაც ჩაგზნო მისი შუქურობა. ცეცხლის ოფაზებივით გაიბნა ცაზე ძვირფასი სახელები; გვეახლნენ მხედარნი, სეფენი და აზნაურნი და თუ თვითეული მათგანი არ იყო უებრო მოისარი—ესეც საუკუნის ბრალია.

მთელი საუკუნე ჩვენში არ თქმულა ლამაზი სიმღერა, იგი ჩაჰკლა საქართველოს მონურმა სულმა. დღეს ახალ საუკუნის საზღვარში ვართ მომწყვდეულნი და საქართველოსაც უსაცილოდ განსწმენდს მსოფლიო ომის ჩირაღდანი. კერძოდ ქართულ ხელოვანისთვის კი, რუსეთის რევოლუცია სრულიად უმნიშვნელოა; მას არ მოსდევს შემოქმედების ძალთა გაისი. იგი არაა ერთი იმათგანი, რომელთა მიერ დამოკიდებულია ხშირად ხელოვნების ანთება.

ანდრე შენიე იტყოდა: „რევოლუცია აქრობს ხელოვნების ჩირაღდანსო!“—ეს კი რუსეთის რევოლუციაზედ არის გამოკვეთილი. მისნობა არაა საჭირო, მსოფლიო ომის შემდეგ დამდგარი ახალი ხანა კერძოდ საქართველოსთვის იქნება ნაყოფიერი. მრავალსაუკუნოვანი ძალაა დაგროვილი და ელის აყვავილება-აფეთქებას. საქართველოს ბნელით ნათლისად გასვლა სულ ახლოა. ბედისწერით ივნო საქართველო დღეს მზევდება თავისუფლებით., უსათუოდ სულიც დაუბრუნდება საკუთარ სხეულს, როგორც ნაზამთრი მერცხალი გაზაფხულიან სამშობლოს.

აინთება არმაზი..

აინთება ქართული სული...

2.

ქართული სულის თავისთავადობა შოთასთან გათავდა. რუსთაველის ღვთიურ აგზნების შემდგომ მთელი ოთხასი წელიწადი მხოლოდ ბიზანტიურ-სქოლასტიკურ წიგნების და ერანის ეპოსის გადმოქართულებას მოვანდომეთ. ამ ხანობად საქართველოში არ განცხადებულა ქართული სულით შემოსილი მუსიკის მეფე; მხოლოდ გველანდება მარტოშობილი მგოსანი ელვასახიანი ვინმე (ბატონიშვილად ამბობენ) გოჩა, რომლის ნათელი შაირები მიჰმსგავსებია ალისყურის სხოისნობას და ზურმუხტის კრიალს. კვალად ცხებული თეიმურაზ (I-ლი) აუწნებს ოქროვედილ სიტყვას, მაგრამ ისიც მოშორებულია საქართველოს, როგორც მისი სამეფო თავი ქართულ გვირგვინს. ის ინათლება სპარსულ ლირიზმით და მისით იალმაზა ერანის მზემ უფრო, სანამ ნათელმცხინვარე ცეცხლმა არმაზისამ!. ამ დროს, საქართველოს მგოსნები ეთაყვანებოდნენ ერანს და თეიმურაზსაც აკლია ქართული გრძნობიარობა, ქართული ფორმები და საქართველოს კულტურის სახე.

თეიმურაზის კვალად სამჯერ ზამბახივით გაიშლიან: გურამიშვილი, ბესიკი და სავათნავა, რომლებშიც ბესიკს ასახიერებს კერძოდ ქართული სული. მაშინდელ საზნეო ლიტერატურის ზეგავლენით დაიქორფლა გურამიშვილის მწყაზარსახეც... ხოლო სავათნავა ცოცხალი თავით ვერ გაერიდებოდა სპარსულ ლირიზმს, რაიც მჭიულია ალმასის შუშასებრ და ფერადი ბეზირგნის ფარჩასავით... ბესიკიც გერია თვისი საუკუნისა. მან კეთილშობილურად დაათავა სკოლა თეიმურაზისა საყვარელი და სატკბო სპარსულ ოქრონექტარით.

ქართული ლექსი მან ათალა სპარსულად და ლექსიც მუსიკასთან გაათანასწორა. მისი შაირი ხალიჩას დროშისთვის მიგვამსგავსებია მჭიული ფერებით და სიძვირფასით. ბესიკს უამარი დროული მეჩინგენი ჰყავდა; დიაღაც ყველა გამოდის ბესიკის სახლიდან და ინათლებიან მისი წმინდა სახელით. ბესიკის ცეცხლი მეცხრამეტე საუკუნეშიც გადადის, ხოლოდ მოწ. ალექ. ჭავჭავაძე, ვერ გაიზვიადა ჯადოსან ოსტატს. მისი ფრთები მოჰკვეცა რუსეთის ჰავამ...

3

თუმცა საქართველო 1800 წ. მანიფესტით შეუერთდა რუსეთის იმპერიას, მაგრამ რუსული სტვირი წინა საუკუნიდანვე ამღერდა ჩვენში; სლოვენთა სულის შემოსევით საქართველომ დაჰკარგა თვითებ; მოხდა შერევნა და უკუღვევა ქართული სულის. მეცხრ. საუკუნეში იგი უარსგვიყოფიე; მისი ცისკრობა შებინდულია, რაც არ ეკადრება მის გვირგვინოსანს სახელს. საქართველოს მთაწმინდელმა ღმერთებმა თვისი ღვთიურობა მოანდომეს არა ჩირაღდნის აგიზგიზებას, არამედ მისი სუსტი ნათელის დაფარვას ქარიშხლის შიშველ ხელთაგან... გულაგზნებული ხელოვანი ითვრებოდა ედგარ პოეს ლეტარგიით. სულიერ მონობით ჩვენმა ფანტაზიამ დაჰკარგა მთვარის ქვის სინაზე, ხოლო შარლ ბოდლერის არ იყოს: „გული თუ ვნებას ინახავს—ფანტაზია პოეზიაო“. ჩაგვიქრა გულიც და მისი საუნჯეც და „სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი“ (სახარება). ამის მიზეზებით ჩვენი მწერლებიც კი სწერდნენ მარცხენა ხელით და მხატვრულ ნაწარმოების ნაცვლად მათი შემოქმედება ხშირად უშნო პამფლეტად გადმოდის... რჩეულთა შორის, უმეტესად რჩეულობდა გრიგოლ ორბელიანიც სვავის და ყაჭარის თვალებით. ყველაზე მეტად მჩქეფარებდა მასში ქართული სისხლი, მაგრამ მისი სულიც ორეულდება.—ერთი ვერ გასცილებია ჩაჩი-მელქის და სავათნავას მუხამბაზებს, მეორე კი ნათლად ემონება პუშკინ-ლერმონტოვის ვარსკვლავებს.

პირველად ალ. ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი მოიხიბლნენ რუსულად. ისეთს პირობებში ძნელიც იყო ქართველობა და ვერც შესძლეს აქი.. უცხო ტანთსაცმელი ვერ ასცდათ ვერც ტატო ბარათაშვილს, ვახ. ორბელიანს. და შემდეგ მთაწმინდელ ღმერთებსაც.. აქვე ვიტყვით, რომ ამ უკანასკნელთა საპოეზიო გვირგვინი არც ისე უკვდავია და თუ მათ ადიდებს საქართველოს ხალხი მისთვის რომ ისინი ხალხს ემსახურნენ და იწამეს ხალხი. ისინი გაეზიარნენ ერის შვებასა და ვარამში, მათ იცნეს მისი სამშობლო, პოლიტიკა თუ სიყვარული. მათ ჩაიცვეს ბრბოს ტანისამოსი და გახდნენ მისი გამოძახილი. ამის გამო უყვარს ისინი ხალხს და არა მისთვის რომ ისინი დამენარიყუნენ მზით არმაზის ტაძარში.

მაგრამ ყველაზე გულმოდგინე რუსები ქართველი ნაროდნიკები გამოვიდნენ. ისინი გულმოდგინედ ასრულებდნენ რუსობის მისიას—თვისდაშეუმჩნევლავდ და მათი სულიც ყალათმაა ქართულ პოეზიისთვის.

რუსულ შხამს ვერ ასცდა ეთერბრწყინვალე ვაჟაც, ეს გათიადისებული წმინდა სახელი. უპირველესად მის გონს შემოესარა ლერმონტოვის სიტყვა. ლერმონტოვის ილეთი მოსჩანს მის პირველ ლექსებში და „მოხუცის ნაამბობში“.

აქ ადვილია მიხვედრა—ლერმონტოვი ცოტად თუ ბევრად ენათესავება ვაჟას და ისიც მისადებია, რომ ლერმონტოვიც აქებს იმ მთიებს, საიდანაც ვაჟამ გადმოჰხედა მონურ საქართველოს. შემდეგში ვაჟა ბედკეთილი ნიჭი გამოდგა და მან ერთის ჩქმით მოიშორა რუსული ტალახი, რომელიც მის ელვიან ფარს მისცხობოდა. და რომ ვაჟასთვის ევროპა უცხოობდა, შეიძლება ეს დიდად საზიანოც იყო მის მთავარდიდებულობისთვის. ის არ იცნობდა ინგლისურ ესთეტიზმს, მისი ლიტერატურული ნიჭი არ იყო ნატიფად დათლილი და ვაჟაც რჩება პრიმიტიულ მგოსნად; მაგრამ ვაჟა უდისციპლინო სულია, ეს კი ადიდებს მის გენიოსობას: ის აღვირწახსნილია, და მიაგავს საქართველოს არწივს, რომლის ფრთები ფოლადია, უსრულო ნავარდში, მან არ უწყის ნავთსაყუდელი; ამაყი სული არ ემორჩილება კანონებს და პირადად ჩემთვის საგულისხმოა მისი ზავთი და თავისთავადობა..

ვაჟას შემდეგ თვალი შეადგება იროდიონ ევდოშვილს. საწუთრო გაცუდებულ კაენივით ძრწოლაში გაატარა სიცოცხლე. ის წყევის ორბია, მაგრამ არც მას ჰქონია სვესრული თავის-თავადობა და იგიც ვერ გახდა მირონცხებული; ისევ მონობით შებინდული მიემდევარა დიდების წმ. სავანეს. 1900 წლიდან რვა წელიწადი ქართულ ლიტერატურის სარბიელზე ბერიკობაა. ამასთანავე რუსობა თანისთანობით ძლიერდება. მაშინ ითარგმნება ლერმონტოვის „ორშა“ და პუშკინის „პოლტავა“, რაც აასკეცებს რუსობისადმი მიდრეკილებას. რუსობის მიზეზით ვერ დაივანა ჩვენში ესთეტიურმა სვინდისმა, ამან დაჰბადა სამუდამო დაცემის სიმპტომები. მონობა, გაუთავებელ მონობად გახდა, პოლიტიკური და ინდივიდუალი მონობა ურთიერთს გადაეჯაჭვა. შემოქმედებითი ინდივიდუალიზაცია ნესტანივით მოემწყვდა ბნელ დილეგში. და თუ ოდესმე ბაგრატიდები და საქართველოს ბრწყინვალე თავად-აზნაურობა ქედმოდრეკილები, ცრემლთა შლით მიეზიდებოდნენ ხარკს ოქროს ურდოში—ყვითელ მონგოლებთან, დღეს მოხარკეობა მწერლებსაც შეერგოთ მათ შთამომავლებთან.

უკანასკნელი მოხარკე მგოსანი გახლავთ სატურნ აბაშელი. მისი პირველი წიგნი „მზის სიცილი“ უშნო მიბაძვაა სიტყვამარჯვე კონსტანტინე ბალმონტის, რომლის ლექსიც გაზაფხულზე წვიმის ცეკვაა. რასაკვირველია, აბაშელთან ერთად ბევრი ახალგაზრდაც დაიბნიდა რუსეთით, მაგრამ აბაშელი უკანასკნელი მხევალია. ახლა ფრანგეთიდან შემოდის თვალმარგალიტი, ხოლო რუსეთის შხამს ამიერიდან ისეთივე საზღვარი ედება, როგორც რუსულ თვითმპყრობელობას საქართველოში.

გ ლეონიძე

(დასასრული იქნება)

# არტაანის მხარეში*)

ყურტ-ყულიდან ს. წყაროს-თავში გადავედი. აქ 57 კომლი ან 437 ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქ შუა სოფელში სდგას გელათის ტაძარზე ცოტათი პატარა, მაგრამ მისი მსგავსი ეკლესია, რომლის სურათები სრულიად არის დაცული. ამ ეკლესიას, როგორც შიგნით, აგრეთვე გარედაც, მრავალი ქართული-ხუცური წარწერები აქვს. ეს ეკლესია ძლიერ სუფთათაა შენახული, ადგილობრივი ქართველ მაჰმადიანს შარიფ ალა სადირიძეს ნაბრძანები აქვს აქაური მოლისთვის, რომ სუფთად ჰქონდეს შენახული იგი. შემდეგ ს. რაბათში გადმოველი, აქაც 32 კომლი, ანუ 427 სული ქართველი ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. რაბათის ორი ვერსის მოშორებით აღმოსავლეთისაკენ, მტკვრის პირად მაღლობზედ გაშენებულია ერთი იმ მშვენიერ და მეტად ლამაზი ციხე, სიდიდით, მართალია ვეღისციხეზე ცოტათი პატარა იქნება, სამაგიეროდ ეს უფრო ლამაზია მასზე. ციხეზე გაყვანილია მშვენიერი სოშეს ფერთე გზა სულმნათი თამარისაგან, რომელიც დღესაც დარჩენილა. ციხეს გარშემო, მიუხედავად იმისა, რომ სალკლდეზე დგას, რომლის პირები სამივე მხრივ პირდაპირ ჩამოტეხილია თვალ-უწვდენელ სიშორემდე, ვეებერთელა გალავანი არტყია, რომელიც დღესაც დაუზიანებელია. გალავანში მაღალი მრგვალი ციხე დგას. ამ ციხეში კიდევ მეორე ციხეა. შიგ ამ ციხეში სახლები დგას, როგორც ეტყობა სალარო უნდა იყოს. სახლები და ორივე ციხეები სულ მთელია. შიგნით ჩავედი, დავათვალიერე ყველაფერი, შემდეგ მეორე ციხის მაღლა გალავანზე ავცოცდი, მინდოდა მაღალი კოშკის ფანჯრებში ჩამეხედა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ორივე მხრიდან თვალუწვდენელი ხევი უვლის ციხეს, აღმოსავლეთიდან მტკვრისა და დასავლეთ-სამხრეთიდან ზურზუნის მდინარე, ზევიდან მაღალი მთა გადმოჰყურებს. ციხეს ერთადერთი მისავალი სოფელ რაბათიდან აქვს. დანარჩენი რაბათის ციხისა იქვეა მოწყობილი, როგორც ვეღის ციხე, წყლის ამოსაყვანი მილი აქ შორს უფრო დიდია და მაღალი, ვიდრე ვეღის ციხეში. სახლები აქ ყველა დანგრეულია, ალბად ძალით. ამბობენ რაბათში ბევრი ოქროს ფულები, ოქროს რაღაც სამკაული უპოვნიათ. რაბათიდან ს. ზურზუნაში გადმოველი, შემდეგ მოველი ს. ყორუ-ველში, რომელიც ყარაფაფახებითაა დასახლებული. ყორუ-ველი ანუ ყორე და ველი ქართული სიტყვაა. აქ სოფლის განაპირაზე საშვალო ზომის ეკლესია ყოფილა აშენებული, მაგრამ დღეს მისი კედლებილაა დარჩენილი. ხუთი ვერსის შემდეგ ს. ფრუთი იწყება. სიტყვა ფრუთი ბრუნდს უნდა უდრიდეს, ყოველ შემთხვევაში ეს თათრული არ არის და სომხურში კი სულაც არ არის სადეჩნელი, რადგანაც არტაანის ოლქში დასაბამიდან მხოლოდ ამ 25 წლის წინეთ გადმოსახლდნენ, მაგრამ აქით ჩილდირობა, არტაანისა (დ. არტაანის გამოკლებით) და ფოცხოვის ნაწილებში მათი ხსენებაც არ არის, არის მხოლოდ გელის ნაწილში ერთი პატარა სოფელი ურუთი, რომელშიდაც 14 მოსახლე ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ და 17 კი სომხები „კახთაგანები“, რაც ნიშნავს ქართულად გამოქცეულებს და ისიც ამ 10 წლის წინეთ. სოფელ სასადილოშიაც ცხოვრობენ, მაგრამ ეგენი ართვინის ოლქიდან გადმოსული სომხები ფრანგები არიან, რომლებიც არც სჯულით და არც ეროვნებით სომხებს არ ეკარებათ. ს. ფრუთში 29 კომლი, ანუ 400 სული ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ. აქაც არის ქართული ეკლესიის ნაშთი დარჩენილი. სოფელი ურთა, ან ორ-მთაში მოვედით. ესეც ადვილი შესაძლებელია ურთა კი არა ორ-მთა იყოს, რადგანაც ეს სოფელი ორ-მთას შუაა გაშენებული. აქ მცხოვრები ყარაფაფახები არიან. აქვე, სოფლის გარედა ნასაყდრევი ადგილია, სჩანს აქაც ყოფილა ქართული ეკლესია. ურთას შემდეგ სოფელი მერედიხი, ანუ მერემდისია, რაც ორივე მხრიდან ქართული სახელია. აქაც ყარაფაფახები ცხოვრობენ სოფელში ეკლესიის ნანგრევი არის. სოფელი მერემდისიდან 15—16 ვერსი ჩალდირის ტბის პირად ყარსის გზა-ტკეცილს გავყევით და სოფელი ფიქრაშენში, ანუ უმალ ფიქრი-შენი, მოვედით. აქ მარტო 8 კომლი, ანუ 76 სულია ქართველი მაჰმადიანები, დანარჩენი ყარაფაფახებია. შუა სოფელში, ზედ გზის პირად, მხოლოდ ტბას 80—100 საჟენით მოშორებული დგას ერთი ვეებერთელა ქართული საყდრის კედლები, რომლის სიმაღლე მგონი 4—5 საჟენი იქნება. საყდრის კედელზე ადგილობრივი ალა ყარაფაფახს სახლი და დუქანი მიუშენებია, მხოლოდ ვეებერთელა ეკლესია საბოსლეთ, სათივეთ და მრავალი სხვა უარესი საზინძურეთი გაუხდია, თანაც კედლებიდან ქვები ჩამოუხსნია და მით სახლი გაუშენებია. შიგნით ეკლესია რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი, სჩანს მრავალი საკურთხეველი ჰქონია. აქ კედელზე ქვაც ყოფილა ქართული ხუცურის წარწერით, მაგრამ ალას ჩამოუხსნია, გაუთლია ბუხრათ გაუკეთებია, საჭიროა ქართული ეთნოგრაფიული საზოგადოება ყურადღებას მიაქცევდეს ამას. ფიქრი-შენიდან ტბა მარცხნივ დავტოვეთ და ჩვენ მარჯვნივ მთაზე გადავედით და ს. გერაშენში, ანუ უკეთა ვსთქვათ გერი-შენში, რადგანაც გერა-შენი თათრული სიტყვა არ არის. აქაც ყარაფაფახები ცხოვრობენ, პატარა ეკლესიის ნანგრევი აქაც არის. გერი-შენიდან ექვსი ვერსის სიშორეზე წინ ყარსისკენ ს. ტაშ-ბაშია. ეს სოფელი ქვის მაღლობზეა გაშენებული და გადაჰყურებს ჩალდირის ტბას. შემდეგ ტაშ-ბაშისა ტბა თანდათან ვიწროვდება და ექვსი ვერსის შემდეგ, მისი სიფართე მხოლოდ 30—40 საჟენს შეიძლება ცოტათი აღემატოს. აქ სულმნათ თამარ მეფეს მშვენიერის ხელოვნურათ დიდი და თანაც სქელი ქვის ხიდი გაუკეთებია, რომელიც დღეს სრულიად შეურყეველია და მგონი ათასი წელზე მეტიც გაუძლოს კიდევ.

ქ. მარტვილელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „საქართველო“ № 232.

# კორესპონდენცია

## კახეთიდან

ძველი მთავრობის დამხობასთან ერთად, ქურდობა-ყაჩაღობაც თითქმის სულ მთლად მოისპო კახეთში. ყველა ქურდმა და ყაჩაღმა ქუდი მოიხარა ხალხის წინაშე, დაჰგმო თავიანთ სამარცხვინო ხელობა და პატიება ითხოვა, ხალხმაც აპატია მათ შეცოდებანი. დაიწყო მათთან ერთად ახალ ცხოვრებისთვის მომზადება—ბრძოლა ნამდვილი თავისუფლებისთვის, ბრძოლა ძმობისთვის, ბრძოლა ადამიანობისთვის! მაგრამ თუ ყაჩაღებმა ყაჩაღობაზე ხელი აიღეს, სამაგიეროდ მათი ადგილი დაიჭირეს ყოფილმა „სტრაჟნიკებმა“. ვინ იყვნენ ესენი? მომეტებულად ლეკი, ქისტი, ჩაჩანი და ოსები, რომელთაც ბრმა იარაღათ ხმარობდა ძველი მთავრობა მშრომელი ხალხის დასარბევ-ასაკლებად და ესენიც პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას: დადიოდნენ სოფლიდან სოფელში ვითომც ყაჩაღების აღმოსაჩენად, ნამდვილად-კი მათთან იარაღ-ტყვია-წამლის მისატანათ, სოფლად-კი გასაძღომათ, ქრთამების ასაღებათ, თუ უნდოდათ, რომ ყაჩაღების შენახვა არ დაებრალებინათ. „სტრაჟნიკი“ რასაც მოსთხოვდა გლეხს, უნდა მიეცა კიდეც, ვაი მას, თუ არ აუსრულებდა ბრძანებას. განა ცოტა გაუციმბირებიათ „სტრაჟნიკების“ ტყუილა დაბეზღებით, ვინ მოსთვლის რა სისაძაგლეს არ სჩადიოდნენ ეს გარყვნილი პროვოკატორები და ვინ იცის კიდევ რას არ ჩადიოდნენ, რომ კიდევ დასცლოდათ დღევანდლამდე, მაგრამ მალე დადგა განკითხვის დღე და აილაგმა მათი თარეში სოფლად, იმათი ხსენება აღარ იყო კახეთში 3—4 თვეს და ხალხსაც იმედი ჰქონდა, რომ ყველა დათხოვნილი „სტრაჟნიკი“ თავ-თავიანთ სოფელში წავიდა. მაგრამ აი, სამი-ოთხი თვე გავიდა და ამ ნაძირალებმაც თავი წამოჰყვეს, ოღონდ სხვა სახით, ყაჩაღებად შემაზილნი. ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენშიაც გამოჩნდნენ მათი მიმბაძავნი ქურდ-ბაცაცები და დაიწყეს ისევ თავიანთი სამარცხვინო ხელობა, რითაც მძიმე გასაჭირში აგდებენ ისედაც მრავალმხრივ შეწუხებულ მცხოვრებთ. ალაზან გაღმა სოფლებში ისეც დღე არ გავა, რომ ამ ადგილას მაინც არ მოხდეს ძარცვა-გლეჯა, მით უფრო საწუხაროა ეს გაძლიერებული ყაჩაღობა, რომ პროვოკატორებს მიზეზი ეძლევათ გაავრცელონ ხალხში ხმა და გადაჰკიდონ ერთი ერი მეორეს, საკმარისია 3—4 ყაჩაღი დაეცეს სადმე გზაში, ან სოფელში ვისმეს, რომ მაშინვე ხალხში ხმა გავარდეს, 60—80 ლეკი დაეცა ამა და ამ სოფელსაო. საჭიროა დიდი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას თელავისა და სოფლების კომიტეტებმა, და, როგორც ყაჩაღების შეპყრობას სცდილობენ, აგრეთვე იმ პროვოკატორების აღმოჩენასაც ეცადნენ, რომლებიც ტყუილად ავრცელებენ ხმებს რათა ლეკი და ქართველები ერთმანეთს გადაჰკიდონ.

მეთვალყურე.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

# კალენდარი

## სამშაბათი ღვინობისთვის

## 3

**ქართვ.** წმ. მღვდელ-მოწამისა დიონოსი არიოპაგელისა.
**კათოლ.** გერარდისა.
**სომეხ.** წმ. ევსტოთე.
**მაჰმად.** სე-შაბე 29 რ. ზულგიჯა 1335 წ. ჰიჯრისა.
**ებრაელ.** იომშელიშ 30 რ. თიშრისა 5678 წ. ქვეყ. შექ.

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დროა ნაჩვენებია [illegible])

[illegible]

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | სამგ. | № 5, | 11.32 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.28 | საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 10, | 8.17 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.19 | დილ. |
| [illegible] | [illegible] | № 8, | 9.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 6.46 | საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 4-8, | 2.15 | საღ. |

[illegible]

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | სამგზ. | № 10, | 8.28 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 7.41 | საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 30, | 7.[illegible]7 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 12, | 9.50 | საღ. |
| [illegible] | საფ. | № 8, | 10.26 | დილ. |
| „ | [illegible] | № 6, | 10.20 | საღ. |
| [illegible] | საფ. | № [illegible], | 7.53 | დილ. |

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 2 მანეთი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდე.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. ნიჟარაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდე.

რედაქტორი ფ. კვარაცხელია.

**საავადმყოფო**

[illegible] ექიმ [illegible] ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდროვის ბაღის ახლო, ტელეფონი 481.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელიაშვ—შინაგან ავადმყოფობისა. დღეგრძელობს 10—12 ს. ყოველდღე.

[illegible]—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.

ახპიხოვი—ყურის, ყელის და ცხვირ. —2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.

ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.

მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.

ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.

ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.

ითხელიანი—ქალთა და საბებიო ავად. დღეგრძელობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.

ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.

[illegible]—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.

ტრიასცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.

ბავდოევსკია—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.

ალიხანოვსკა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—76